გილაური რეგიონების გამრიცხველიანებით კმაყოფილია
A2

ბრძოლა ისრაელის მმართველი პარტიის ლიდერობისთვის
A4

იდუმალი ქალი დაბადების დღეს აღნიშნავს
A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 31 აგვისტო, 2005 წელი. №195 (1055) | ფასი 50 თეთრი

უცხოეთი

ქარიშხალმა "კატრინამ" გეზი ჩრდილოეთისკენ აიღო

მატერიალურმა ზარალმა 26 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. "კატრინამ" 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

A4

რეგიონი

„ხუთჯვაროსნები„ რევანშისთვის ემზადებიან

გაიოზ დარსაძემ გუშინ ერთადერთი ღია ვარჯიში გამართა, რომელიც ორი ბუნდესლიგელის, ლევან კობიაშვილის და ალექსანდრე ცქიტიშვილის გარეშე დაიწყო.

A6

რევიუ

ურთიერთობების შესახებ

გვინეტ პელტროუ თანდათან ჩრდილს ეჩვევა და სცენიდან ჩუმი გასვლისთვის ემზადება.

A8

ამინდი

	31/08	1 /09
თბილისი	27	30
ქუთაისი	23	26
სოხუმი	26	28
დმანისი	21	23
გორი	23	24
ონი	20	22
ზუგდიდი	27	28
ახმეტა	27	30
გაბრა	26	27
სამტრედია	26	27

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7900
ევრო	2.2046
ბირვანქა სტერლ.	3.2310
რუბლი	0.0629

ამბები	A 2
ამბები	A 3
განცხადებები	A 4
უცხოეთი	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

„ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია"

ინტერვიუ უმრავლესობის აწ უკვე ყოფილ წევრთან დავით ზურაბიშვილთან

ვერიკო თევზაძე

- დავიწყოთ უკვე ბანალობად ქცეული შეკითხვით, რომელიც, ალბათ, დღის განმავლობაში არაერთხელ დაგისვეს ჟურნალისტებმა: რა არის მთავარი მიზეზი, რომელმაც უმრავლესობიდან წამოსვლის გადაწყვეტილება მიგაღებინათ?

- ეს არ არის ნაუცბათევი გადაწყვეტილება. ადრეც არაერთხელ გამომითქვამს განსხვავებული მოსაზრება ისეთ საკითხებზე, რომელსაც უმრავლესობის ბირთვი პრინციპულად მიიჩნევდა. მიხარია, გამოცდები კარგად რომ ჩატარდა, მაგრამ რეფორმის გატარების თვალსაზრისით, ძალიან ბევრი პრობლემა არსებობს. ჩემთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო ყველაფერი, რაც მასმედიასთან მიმართებაში ხდებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ლევან ვარძელაშვილის ფოტო

ჩემთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო ყველაფერი, რაც მასმედიასთან მიმართებაში ხდებოდა.

ჯერ გადაწყვიტეს, შემდეგ განიხილავენ

ანუ როგორ შეიცვალა მოსწავლეთა სასახლემ მისამართი

ნანა ქადაგიშვილი

15 სექტემბრის შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობაში საერთაშორისო ქორეოგრაფიული ცენტრი დამკვიდრდება. მოსწავლეთა სასახლე კი ყოფილი საბალეტო სკოლის შენობაში გადაინაცვლებს. ამის შესახებ სასახლის ხელმძღვანელს ქალაქის პრემიერმა ორი დღის წინათ აცნობა, კულტურის სამინისტროში კი აღნიშნული ინფორმაცია გუშინდელ დღემდე ყურმოკვრითაც არ გაეგოთ. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ქალაქის მთავრობას აღნიშნული ცვლილების შესახებ ოფიციალური გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბედი გადაწყვეტილია.

გაგრძელება A3 გვერდზე

ლევან ვარძელაშვილის ფოტო

ამ სასახლეს მალე საერთაშორისო ქორეოგრაფიული სტუდია ეწოდება.

რამდენი მევალე ჰყავს საზოგადოებრივ ტელევიზიას?

ტელევიზიის ხელმძღვანელობა ფინანსურ პილიციას უხმობს

თამარ მაისურაძე

მართალია, ქვის ხანაში ტელევიზია არ იყო, მაგრამ ტელევიზიაში ქვის ხანის აპარატურა ყოფილი პირველი არხის ახალმა ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა. როგორც საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელმა თამარ კინწურაშვილმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, ტელევიზიის შიდა სამზარეულოში ღრმად ჩახედვის შედეგად სავალალო მდგომარეობა აღმოჩნდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ლევან ვარძელაშვილის ფოტო

ტელევიზიის ახალი ხელმძღვანელობის პრესკონფერენცია.

გამოძიებას კობა ბექაურთან დაკავშირებული ფილმის დეტალები აინტერესებს

ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების, შალვა რამიშვილის და დავით კოხრეიძის ადვოკატებმა გუშინ საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და დაკავებულებისთვის შეფარდებული წინასწარი პატიმრობის გაუქმებას მოითხოვენ.

ერთ-ერთმა ადვოკატმა გოჩა სვანიძემ განაცხადა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უსაფუძვლოა, რადგან მოსამართლის არგუმენტებით, რამიშვილმა შესაძლოა, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მოწმეებზე. **"თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოძიებას ჯერჯერობით მოწმეები არც კი დაუსახელებია და არსებობს ვარაუდი, რომ მოწმეები რეალურად არ არსებობენ,"** -განაცხადა სვანიძემ.

საოლქო სასამართლო საქმეს განიხილავს მოსამართლისთვის განცხადების ჩაბარებიდან 72 საათის განმავლობაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო იქნება და აღარ გასაჩივრდება.

იმ დროს, როდესაც 202-ელების სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, უშიშროების სამინისტროში, მოწმის სახით დასაკითხად, დაბარებული იყო ვახტანგ კომახიძე. მაგრამ იმის გამო, რომ გამომძიებელი სასამართლო პროცესში მონაწილეობდა, დაკითხვა ვერ შედგა. გუშინ კი ვახტანგ კომახიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში გამოცხადდა. როგორც დაკითხვიდან გამოსულმა ჟურნალისტმა აღნიშნა, გამოძიებას, ძირითადად, ფილმთან დაკავშირებული დეტალები აინტერესებდა, მაგრამ მან კანონით მინიჭებული უფლება გამოიყენა და ჩვენების მიცემისგან თავი შეიკავა.

გაგრძელება A3 გვერდზე

აფხაზური ოპოზიცია ხაჭიმბას უუფლებობამ შეაწუხა

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში პოლიტიკური თანხმობის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ დაცული იქნება კონსტიტუციური შეთანხმება ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილების შესახებ.

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

ოპოზიციონერი ლიდერები სულ უფრო ხშირად აპელირებენ გასული წლის 6 დეკემბრის კონსტიტუციურ შეთანხმებაზე, რომელმაც აფხაზეთში პოლიტიკურ წინააღმდეგობას წერტილი დაუსვა. ამ შეთანხმების თანახმად, ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტს იგივე უფლებამოსილებები აქვს, რაც პრეზიდენტს. შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი არძინბას არშემდგარი მემკვიდრე რაულ ხაჯიმბა გახდა. შეთანხმების მიხედვით, ვიცე-პრეზიდენტი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებს კურირებს. მას აქვს უფლება, განკარგოს არასაბიუჯეტო ფონდებში არსებული თანხების 40 პროცენტი და ასევე ქვეყნის ბიუჯეტი. სწორედ ამ შეთანხმებამ, რაც რუსი პოლიტიკოსების დახმარებით იქნა მიღწეული, ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობა მოხსნა.

თუმცა, უკვე კარგა ხანია, ცხადი გახდა, რომ ამ შეთანხმების რეალიზება არ ხდება. ხაჯიმბა ვერც ქვეყნის ბიუჯეტს განკარგავს და არც საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებს კურირებს. დღეისათვის მისი უფლებამოსილებები საკმაოდ ამორფულია და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ვალერი არშბას უფლებამოსილებებს არ სცილდება. არშბას ვიცე-პრეზიდენტობის შედეგი კი იყო ის, რომ წინასაარჩევნოდ საზოგადოების დიდი ნაწილი ამ თანამდებობის საერთოდაც გაუქმებას მიიჩნევდა მიზანშეწონილად.

გასული წლის პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავალი სწორედ ამ თანამდებობაში მოიძებნა. ვიცე-პრეზიდენტის პოსტი არათუ შეინარჩუნეს, არამედ წარმოუდგენელი ფუნქციებითაც აღჭურვეს. ჯერჯერობით, ამ ფუნქციების პრაქტიკაში განხორციელების საშუალება ხაჯიმბას არ ჰქონია. მიზეზი ამ ეტაპზე უცნობია. შესაძლოა, თავად ხაჯიმბას არ ეყო ქარიზმა. ან შეიძლება, ამ უფლებამოსილებების სრულად გამოყენება აფხაზურ სინამდვილეში უბრალოდ შეუძლებელია.

გაგრძელება A3 გვერდზე

„უფრთხილდით კავკასიელებს„

"უფრთხილდით კავკასიელებს" - ასეთი სათაურით გამოქვეყნდა წერილი უკრაინულ ინგლისურენოვან გაზეთში "KYIV POST". თუმცა, ეს სათაური სრულად არ ასახავს სტატიის შინაარსს, რომლის მთავარი გმირებიც ქართველები არიან, ოღონდ არა ბოლო ხანებში უკრაინაში ვიზიტებმოხშირებული ქართველი პოლიტიკოსები, არამედ ქართველი კრიმინალები, რომელთა საქმიანობამაც, როგორც ჩანს, უკრაინელი სამართალდამცველები ისე შეაწუხა, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტის გულითადი მეგობრობის მიუხედავადაც კი, გაჩუმება უკვე შეუძლებლად მიიჩნიეს.
გთავაზობთ "KYIV POST"-ში გამოქვეყნებული სტატიის თარგმანს.

"ყურადღება! ბოლო დროს, რეგიონში ბინის მძარცველების რაოდენობა გაიზარდა. უფრთხილდით კავკასიელებს," - ვკითხულობთ კიევში, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს შესასვლელ კარზე გაკრულ განცხადებაში. ეს შენობა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს უბანში მდებარეობს.

ერთი კვირის წინ, მსგავსი განცხადებები კიევის ცენტრალურ რაიონში განლაგებული შენობების კარებებზეც გაჩნდა. ეს განცხადებები მოსახლეობას კავკასიელების მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეზე აფრთხილებს. იქვე, საჭიროების შემთხვევაში, ცხელი ხაზის ნომრებია მითითებული.

"ჩვენ ამ განცხადებების წაკითხვის შემდეგ არ შევშინებულვართ, რადგან თითოეულ ჩვენს ბინას სიგნალიზაცია აქვს. ჩვენ უბრალოდ ძლიერ გაკვირვებულნი ვიყავით," - აცხადებს სტრილეტსკას რაიონის მცხოვრები, რომელიც წმინდა სოფიას ტაძრის უკან მდებარე კორპუსში ცხოვრობს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უბანში ბევრი უცხოელი და ასევე უკრაინის რადას დეპუტატები ცხოვრობენ.

ყველაზე მთავარი კი ის გახლავთ, რომ პოლიციის ინფორმაციით, ეს განცხადებები სულაც არ გახლავთ ბოროტი ხუმრობა.

კიევის კრიმინალური საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი სერგეი შაპოშნიკოვი არ ადასტურებს ქვეყანაში მძარცველების რაოდენობის ზრდის ფაქტს, თუმცა აცხადებს, რომ პოლიციას ძალიან აღელვებს ქართველი კრიმინალების მზარდი რაოდენობა.

გაგრძელება A3 გვერდზე

სემინარი ეროვნულ ბანკში

ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გაიმართა სემინარი თემაზე - "რისკის მენეჯმენტი საკრედიტო საქმიანობაში", რომელიც გერმანიის რეკონსტუქციის საკრედიტო დაწესებულების (KFW) პროექტის (საკრედიტო ბანკების განვითარების სისტემა საქართველოსა და აზერბაიჯანში) ფარგლებში "გერმანიის შემნახველი სალაროს საერთაშორისო ურთიერთობათა ფონდის" (Sparkasse Stiftung) ექსპერტებმა ჩაატარეს. სემინარში საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

Sparkasse-ის ფონდის პროექტის მენეჯერის მარტინა შუციაკის (Martina Chudziak) ინფორმაციით, KFW ეროვნულ ბანკში გამართული სემინარით რისკების მართვის შესახებ ტრენინგების ციკლს იწყებს. ანალოგიური შეხვედრა, ეროვნული ბანკის გარდა, ერთ-ერთ კომერციულ ბანკშიც არის გათვალისწინებული.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის, ეკატერინე გალდავას განცხადებით, გერმანელი ექსპერტების მიერ დაგეგმილი სემინარები საქართველოს საბანკო სისტემაში რისკის მენეჯმენტთან დაკავშირებით დასავლური გამოცდილების დანერგვას შეუწყობს ხელს, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს საფინანსო დაწესებულებებისათვის საკრედიტო რისკების ეფექტიანად მართვისა და მათი მინიმიზების თვალსაზრისით.

სემინარზე "გერმანიის შემნახველი სალარო - ფინანსური ჯგუფის" ექსპერტმა როჯერ ბუშერტმა (Roger Buschert) პრეზენტაცია საკრედიტო საქმიანობაში რისკის მენეჯმენტის შესახებ გამართა. გერმანელმა ექსპერტმა მსმენელებს, მის ქვეყანაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, რისკის მენეჯმენტის ფაქტორები, ფაზები და გერმანიის შემნახველ სალარო "Sparkasse"-ში მოქმედი "ახალი" ერთიანი რეიტინგის პრინციპები გააცნო.

"ბანკი რეიტინგის საშუალებით სწავლობს კლიენტს, არკვევს როგორ უნდა მოიქცეს მასთან ურთიერთობაში და რა პირობებით შეიძლება გაიცეს კრედიტი. რადგან რეიტინგი მხოლოდ "სტატისტიკური მოდულია" და არა საწარმოს განვითარების ანალიზი, ამდენად, კონკრეტული კლიენტის რეიტინგის შესწავლა ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს მისთვის კრედიტის გამოყოფასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას", - აღნიშნა როჯერ ბუშერტმა.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დაწესებულების (KFW) პროექტი "საკრედიტო ბანკების განვითარების სისტემა საქართველოსა და აზერბაიჯანში" 2003 წლიდან ხორციელდება. 2005 წლის აპრილიდან ამ პროექტის მეორე ეტაპი დაიწყო და იგი 2006 წლის დეკემბერში დასრულდება. პროექტს KFW აფინანსებს და მასთან "გერმანიის შემნახველი სალაროს საერთაშორისო ურთიერთობათა ფონდი" (Sparkasse Stiftung) თანამშრომლობს. პროექტის პარტნიორები არიან საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ბანკების ასოციაცია, "საქართველოს ბანკი", "თიბისი ბანკი" და "სახალხო ბანკი".

24 საათი

რვა თვის ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის ოპერატიული ინფორმაციით, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა რვა თვის მონაცემებით, საპროგნოზო მოცულობას 10-პროცენტით გადააჭარბა და 1562,23 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან, მხოლოდ აგვისტოში ბიუჯეტმა 157,99 მილიონი ლარი მიიღო. გადაჭარბებით შესრულდა საგადასახადო შემოსავლების გეგმაც. შემოსავლებმა 1057,15 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გეგმას 4-პროცენტით აჭარბებს. აგვისტოს თვის საგადასახადო შემოსავლებმა 134,06 მილიონი ლარი შეადგინა. რაც შეეხება არასაგადასახადო შემოსავლებს, ფაქტობრივი შემოსავლების საპროგნოზო მოცულობას 45-პროცენტით აჭარბებს. 12-პროცენტიანი გადაჭარბებაა ბიუჯეტის კაპიტალური შემოსავლების ნაწილშიც. რაც შეეხება გრანტებს, რვა თვის მონაცემებით, ბიუჯეტმა 33,32 მილიონი ლარის გრანტი მიიღო, რაც საპროგნოზო მოცულობას 42-პროცენტით აჭარბებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

საბადოებიდან ნავთობის მოპოვება გაიზარდა

ბოლო 7 თვის განმავლობაში აზერბაიჯანის სახმელეთო საბადოებიდან 1,1 მლნ. ტონა ნავთობი ამოიღეს, როცა 2004 წლის იანვარ-ივლისის მონაცემებით, ნავთობმოპოვება მხოლოდ 991 ათას ტონას შეადგენდა, - აცხადებენ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიაში. მოპოვებული ნავთობიდან 447,6 ათასი ტონა აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის მომპოვებელი სამმართველოს წილია. ეს სამმართველო სახელმწიფო ნავთობკომპანიის ბალანსზეა. დანარჩენი 561,1 ათასი ტონა ნავთობი ერთობლივი საწარმოებისა და ოპერაციული კომპანიის წილია. სახელმწიფო ნავთობკომპანიის მონაცემებით, გაზისა და ნავთობის მომპოვებელმა სამმართველომ სახმელეთო საბადოებზე ივლისში 65,762 ათასი ტონა ნავთობი მოიპოვა.

მედიანიუსი

ბათუმში ორი მსხვილი ობიექტი გაიყიდა

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში მორიგი აუქციონი გაიმართა. პანსიონატი "ბათუმი" შ.პ.ს "ინვესტმა" 970 ათას დოლარად შეიძინა. ახალი მეპატრონე კომპლექსის პროფილს შენარჩუნებას აპირებს. "ინვესტის" წარმომადგენელთა თქმით, შენობაში შესახლებულ ეკომიგრანტები ბინებით იქნებიან უზრუნველყოფილი. "აჭარგაზმშენი" კიდევ ერთი მსხვილი ობიექტია, რომელიც აუქციონზე გაიყიდა. გაყიდული ობიექტების საერთო თანხამ 1 060 700 დოლარი შეადგინა. თითოეულ ობიექტზე მხოლოდ თითო განაცხადი იყო შეტანილი და ამიტომაც ვაჭრობა არ გამართულა. **ჯი-ეიჩ-ენი**

იუსტიციის სამინისტრო სიას აქვეყნებს

ქუთაისის ახალი საპყრობილის ადმინისტრაციაში არსებულ ვაკანსიებზე დასანიშნად შერჩეულთა სია იუსტიციის სამინისტრომ გუშინ გამოაქვეყნა. შესაბამისად, გუშინვე ცნობილი გახდა, რომ გასაუბრებაზე გასული 450-ზე მეტი კანდიდატიდან 281 შეირჩა.

თავად საპყრობილეში მომსახურე პერსონალის 65 თანამდებობა და 300 ვაკანსიაა. კონკურსში თავდაპირველად 600-მდე კონკურსანტი მონაწილეობდა, მეორე, გასაუბრების ეტაპზე, 480 მათგანი გავიდა.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის ეკა ტყეშელაშვილის ინფორმაციით, შერჩეული კანდიდატები დანიშნამდე მონაწილეობას მიიღებენ სპეციალურ ერთ თვიან სწავლებაში, რომლის ორგანიზატორები იუსტიციის სამინისტრო და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE) არიან.

საპყრობილე, სავარაუდოდ, ოქტომბერში ამოქმედდება.

საპყრობილის ადმინისტრაციაში მუშაობის მსურველებთან გასაუბრებისთვის შექმნილი იყო სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ იუსტიციის სამინისტროს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

24 საათი

აზერბაიჯანში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

აზერბაიჯანში დაკავებულია საქართველოს მოქალაქე - ქალაქ გორში მცხოვრები, 59 წლის მერაბ ჯიბუტი, რომელიც აზერბაიჯანული პრესის ინფორმაციით, რამდენიმე ხნის წინ თბილისში საიდუმლოდ შეხვდა აზერბაიჯანული ახალგაზრდული მოძრაობა "ენი ფიკირის" ("ახალი აზრი") თავმჯდომარეს რუსლან ბაშირლის.

როგორც ცნობილია, ბაშირლის აზერბაიჯანის ხელისუფლება სომხურ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის პრესსამსახურის ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქის დაკავების ფაქტთან დაკავშირებით, ალიევს 29 აგვისტოს, ბაქოში შეხვედრა ჰქონდა საქართველოს შს სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის უფროსთან ბათუ ქუთელიასთან.

გავრცელებული ინფორმაციით, მერაბ ჯიბუტი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთისას დააკავეს, მას არ ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი და მესაზღვრეებს წარუდგა, როგორც ვინმე გურამ ახვლედიანი. დაკავებულს აღმოაჩნდა 9000 სომხური დრამი და "ენი ფიკირის" მოძრაობის ლიდერთა მობილური ტელეფონის ნომრები.

მერაბ ჯიბუტის მიმართ სისხლის სამართლის საქმე საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით აღიძრა და იგი ამჟამად წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.

აზერბაიჯანული პრესის ინფორმაციით, ჯიბუტმა აღიარა, რომ თბილისში მართლაც შეხვდა რუსლან ბაშირლის და მის თარჯიმანს ალიმურადოვს, შემდეგ იგი სავაჭროდ სომხეთში გაემგზავრა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი შეიტყო, რომ მას საქართველოს პროკურატურა და სპეცსამსახურები ეძებდნენ და იძულებული გახდა, აზერბაიჯანში გადასულიყო.

ჯი-ეიჩ-ენი

გილაური რეგიონების გამრიცხველიანებით კმაყოფილია

დინ უაითი და ნიკა გილაური კომუნალური მრიცხველებით კმაყოფილნი არიან. მოსახლეობა კი საპირისპიროდაა განწყობილი

კომუნალური გამრიცხველიანების გამო რეგიონებში არსებული უკმაყოფილების ფონზე, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კვლავ და კვლავ აფიქსირებს თავის უსაზღვრო კმაყოფილებას საქართველოს რეგიონების კომუნალური გამრიცხველიანების პროცესის გამო და პარალელურად აღშფოთებულია ენერგოსისტემისადმი "გარკვეული პირების" დამოკიდებულებით. იგი თვლის, რომ ბევრს არ აწყობს საქართველოს ენერგოსისტემაში მიმდინარე წარმატებული პროცესები და ამ მნიშვნელოვანი მოვლენებით ბევრია უკმაყოფილო.

როგორც გილაურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ორი თვეა, რაც ანგარიშსწორებას კომუნალური მრიცხველებით ახორციელებს და ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელმა 65 პროცენტს მიაღწია.

"გასულ წელს ეს მაჩვენებელი 13-დან 20-პროცენტამდე მერყეობდა. ამოღების მაჩვენებელი ფაქტობრივად გაოთხმაგებულია. შემცირებულია ელექტროენერგიის მოხმარება. ყველა გადამხდელს ელექტროენერგია 24 საათის განმავლობაში მიეწოდება," - განაცხადა გილაურმა. მისივე თქმით, ეს ერთ-ერთი საუკეთესო გზაა შემოდგომა-ზამთრის სეზონის წარმატებით ჩატარებისთვის.

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა ჟურნალისტებისთვის კიდევ ერთხელ განმარტა ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლომ კომპანიის 20 მომხმარებლის საჩივრის განხილვის შედეგად მიიღო.

"სასამართლომ ინდივიდუალური მრიცხველების შემოწმება დაგვავალა, თუმცა, ჩვენ ეს მრიცხველები უკვე შემოწმებული გვქონდა. ვინაიდან ეს მრიცხველები გამართულად არ მუშაობდა, ამიტომ მომხმარებლები ელექტროენერგიის საფასურს კომუნალური მრიცხველების მიხედვით იხდიდნენ. სასამართლომ იგივე გადაწყვეტილება მიიღო, რაც სემეკ-მა რამდენიმე ხნის წინ, ამიტომ აქ განსაკუთრებული არაფერია", - განაცხადა უაითმა.

ენერგეტიკის მინისტრმა და ენერგოკომპანიის დირექტორმა გუშინ ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხის გაცემა არ ისურვეს.

24 საათი

აფხაზური ოპოზიცია ხაჯიმბას უუფლებობამ შეაწუხა

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დეკემბერში მიღწეულმა შეთანხმებამ პირველი პრობლემები მაშინ წარმოშვა, როცა მთავრობის დაკომპლექტებისას ძალოვანი მინისტრების დანიშვნა ხაჯიმბამ თავისი გარემოცვიდან მოინდომა. თუმცა, მისი სურვილის მიუხედავად, შსს შეფად ოთარ ხეცია დაინიშნა. თავდაცვის სამინისტრო სულტან სოსნალიევს ჩააბარეს, რაც ასევე არ უნდოდა ხაჯიმბას. ხაჯიმბამ მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრად სერგეი შამბას დატოვება მოახერხა და ისიც მხოლოდ რუსეთისა და აშშ-ს ჩარევის წყალობით.

რატომღაც, მთავრობის დაკომპლექტების დროს, როდესაც საკადრო დანიშვნების წყალობით ვიცე-პრეზიდენტს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე რაიმე გავლენის უფლება ჩამოერთვა, ოპოზიციამ თავი შეიკავა ხელისუფლების კრიტიკისგან. თუმცა დღეს, როდესაც ოპოზიცია ხელისუფლების ნებისმიერ გადაწყვეტილებას აკრიტიკებს, ოპოზიციონერი ლიდერები ვიცე-პრეზიდენტის უუფლებობამაც შეაწუხა. მართლაც, დეკემბერში მიღწეული შეთანხმების ამოქმედებისა და ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილებების გამოყენების შემთხვევაში, ოპოზიცია მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე ზემოქმედებას შეძლებს.

სავარაუდოდ, ძალიან ახლო მომავალში ოპოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადებას გააკეთებს, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, დათანხმდება თუ არა თავად ვიცე-პრეზიდენტი ახალ პოლიტიკურ სკანდალში მონაწილეობას. როგორც ხაჯიმბას უახლოესი გარემოცვის წარმომადგენლები ამბობენ, ვიცე-პრეზიდენტი ცდილობს, უფრო კარგად მოერგოს ხელისუფლების ახალ ვერტიკალს და საერთო ენა გამონახოს პრეზიდენტთან და პრემიერთან, რომლებიც ქვეყნის რეალური მმართველები არიან.

ცხადია, ოპოზიციის მხრიდან ხაჯიმბას უფლებამოსილებების გაზრდის მცდელობა სამთავრობო კაბინეტებში არც თუ ისე კარგად აღიქმება და ვიცე-პრეზიდენტს, შესაძლოა, დიდი პრობლემებიც შეექმნას. დღევანდელ ოპოზიციას კი, რაიმე საკითხის თავის სასარგებლოდ გატანის ძალა ნამდვილად არ შესწევს.

„უფრთხილდით კავკასიელებს„

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

“ასობით ბინის ძარცვის საქმეში, რომლებსაც ჩვენ ბოლო რამოდენიმე თვეა ვიძიებთ, ქართული კვალი ჩანს. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველებს საკეტის გატეხვის თავისებური ხელწერა აქვთ, რაც ძალიან განსხვავდება ადგილობრივი მძარცველების ძარცვის სტილისგან,” - აღნიშნავს შაპოშნიკოვი.

უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით, ის ძარცვის შემთხვევების დეტალებს არ ამხელს, თუმცა აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ, სეიფებში გამოყენებული საკეტები მაინც საიმედოა. შაპოშნიკოვის თქმით, კიევის შევჩენკივსკის რაიონი “ქართველი” მძარცველებისგან ყველაზე მეტად დაზარალდა.

შევჩენკივსკის რაიონის კრიმინალური საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის იური ბარვიტსკის თქმით, მძარცველები ბინებს გარეგნული იერ-სახით არჩევენ. მაგალითად, უპირატესობას ანიჭებენ ბინებს, რომლებსაც ევროპულ სტილში გაკეთებული პლასტიკური ფანჯრები აქვთ და ა.შ. **“ბინის გაძარცვამდე ისინი მეზობლებს ურეკავენ, ამოწმებენ, შინ არიან თუ არა ისინი, ამუშავებენ სამიზნე ბინის კარის გასაღების ღრიჭოს და ბინას ნაკლებად შესამჩნევ ადგილზე ნიშანს უკეთებენ,”** - ჰყვება ბარვიტსკი. მისივე თქმით, ბოლო დროს მისი დეპარტამენტი დღეში დაახლოებით ოთხ ძარცვაზე მაინც იღებს ინფორმაციას, თუმცა, იმასაც ამატებს, რომ კრიმინალს კიევის სხვა რაიონებშიც აქვს მოკიდებული ფეხი.

“საქართველომ კრიმინალების გარკვეული კატეგორიისთვის სასჯელის ზომა გაამკაცრა, ასე რომ, ეს კრიმინალები იმ ქვეყნებისკენ გაემართნენ, სადაც კანონმდებლობა ნაკლებად მკაცრია,” - განაცხადა კიევის მთავარმა პოლიციელმა ვიტალი იარემამ. მან იქვე დაამატა, რომ უკანასკნელად მათ კიევში 25 ქართველი დააკავეს, რომლებსაც ბოლო ექვს თვეში მომხდარ ძარცვებში ედებათ ბრალი.

“გაცილებით მეტი მძარცველი ჯერაც თავისუფალია, უფრო მეტი კი ყოველ თვე ჩამოდის საქართველოდან,” - აღნიშნა კიევის მთავარმა პოლიციელმა.

უკრაინაში საქართველოს ელჩი გრიგოლ ქათამაძე ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს. თუმცა, მისი თქმით, **“როცა კიევის მთავარი პოლიციელი ასეთ დასკვნებს აკეთებს, მას ამისთვის შესაბამისი საფუძველიც ექნება”.**

ამასთან, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ბოლო დროს ქვეყნის სამართლის კანონმდებლობაში არანაირი ცვლილებები არ განხორციელებულა.

“ვფიქრობ, ჩვენი პოლიცია ისე ეფექტურად მუშაობს, რომ კრიმინალებმა ქვეყნის დატოვება არჩიეს,” - განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ონისე მეტრეველმა. მისი თქმით, წელს საქართველოში ჩადენილი დანაშაულების 80 პროცენტი გახსნილია.

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2005 დასრულდა

საქართველოს ქალაქების გამოცდების სარეგისტრაციო პუნქტებში აბიტურიენტები დღეს გამოცდების საბოლოო შედეგებს გაეცნობიან. შედეგების შეტყობა, აგრეთვე, შეიძლება ვებ-გვერდებზე - www. naec.ge და www.mes.gov.ge, გაზეთ "კვირის პალიტრის" სპეციალურ გამოშვებაში, საცნობარო სამსახურის 09-ის მეშვეობით. თბილისში იმუშავებს სარეგისტრაციო პუნქტი ტოვსტონოგოვის 2 ნომერში.

ჩარიცხულ აბიტურიენტთა სიაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფაკულტეტების მიხედვით, მითითებული იქნება აბიტურიენტების სახელი და გვარი, სარეგისტრაციო ნომერი, მიიღო თუ არა გრანტი. გამოქვეყნდება იმ აბიტურიენტთა სიაც, რომლებიც ვერ ჩაირიცხნენ მათთვის სასურველ ფაკულტეტებზე, მაგრამ გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა საგამოცდო საგანში (15 ქულა) და აქვთ უფლება, თავისუფალ (შეუვსებელ) ადგილებზე შეიტანონ განაცხადი. გამოქვეყნდება ყველა თავისუფალი ადგილის სია ფაკულტეტების მიხედვით.

მეორადი განცხადებების მიღება იწარმოებს 31 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე, სარეგისტრაციო პუნქტებში, ათი საათიდან თვრამეტ საათამდე. აბიტურიენტს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით მიუთითოს მისთვის სასურველი სპეციალობები.

ერთიანი ეროვნული გამოცდების "რეკორდსმენები"

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ განაცხადა, უმაღლესი სასწავლებლები ძალიან კმაყოფილები იქნებიან ახალი "შვილებით".

ახლა კი იმ "სარეკორდო" მონაცემების შესახებ, რაც მოგვაწოდა ეროვნული გამოცდების ცენტრმა.

მაქსიმალური - 100 ქულა მიენიჭა 72 აბიტურიენტის ნაშრომს, მათ შორის:

ქართულ ენასა და ლიტერატურაში - **ანა გოჭაშვილს**, კასპიდან;

ზოგადი უნარების ტესტში - **ალექსი ქავთარაშვილს და ალეკო ჩიქოვანს** (ორივე თბილისის 42-ე სკოლის კურსდამთავრებულია).

მათემატიკაში უმაღლესი შეფასება მიიღო 12-მა აბიტურიენტმა, მათგან ოთხი მოსწავლე თბილისის 42-საშუალო სკოლის კურსდამთავრებულია.

უცხო ენებში - 57 აბიტურიენტმა. მათგან ერთი, **ვახტანგ ნოზაძე,** იმ ოთხ უსინათლო აბიტურიენტთაგანია, რომელთაგან სამმა მიიღო სახელმწიფო გრანტი.

ირანის ორი მოქალაქე - ფერეიდნელი ქართველი, გახდა სტუდენტი.

აზერბაიჯანის მოქალაქე **ნანა ბალაჯაევა** (ტატიშვილი) გახდა სტუდენტი და მიიღო სახელმწიფო გრანტი.

3 ცხინვალელი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, მათგან ორმა მოიპოვა სახელმწიფო გრანტი.

ეს კი რეიტინგული სიის პირველი ათეულია:

1. ანა მამუკელაშვილი, თელავი.
2.ლევან კანკავა, თბილისი.
3.ნათია რევაზიშვილი, თბილისი.
4.ნიკა ელიზბარაშვილი, გურჯაანი.
5.ალექსანდრე ქავთარაშვილი, თბილისი
6.გიორგი ხუციშვილი, თბილისი.
7.სოფიო ნიორაძე, თბილისი.
8.ირაკლი შანავა, წალენჯიხა.
9. დიმიტრი ნადირაძე, თბილისი.
10.აკაკი სეფაშვილი, თბილისი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განთავსდა 1904 გრანტი; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში - 815 გრანტი;

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში -417 გრანტი.

სამი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ყველაზე მეტი სახელმწიფო გრანტი განთავსდა, ასე გამოიყურება: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - 67 გრანტი; ESM - 56 გრანტი; საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი - 41 გრანტი.

ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა 31 171 აბიტურიენტი, დღევანდელი მდგომარეობით ჩარიცხულია 14 811 აბიტურიენტი. მათგან სახელმწიფო დაფინანსება - გრანტი მიიღო 4 210-მა აბიტურიენტმა. მათგან 84 აბიტურიენტი ვერ ჩაირიცხა მისთვის სასურველ სპეციალობაზე. სურვილის მიხედვით, ისინი მონაწილეობას მიიღებენ მეორად კონკურსში, ან ქულებს მომავალი წლისთვის "შეინახავენ".

10 891 აბიტურიენტი აგრძელებს მეორად კონკურსში მონაწილეობას, რაც საშუალოდ ერთ ადგილზე 4 აბიტურიენტს შეადგენს.

ჩარიცხულთა საერთო რაოდენობის 43 პროცენტი თბილისელი აბიტურიენტები არიან, 57 პროცენტი ქვეყნის რეგიონებიდანაა წარმოდგენილი.

სააპელაციო განხილვის შედეგად (ნაშრომთა საერთო რაოდენობის 1,6 პროცენტი) 89 აბიტურიენტს მოემატა ქულა, ხოლო 21-ს დაკლდა.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. მიხეილ სააკაშვილი სამდღიანი ვიზიტით გუშინ საღამოს პოლონეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა. იგი 31 აგვისტოს ქალაქ გდანსკში პოლონეთის დემოკრატიული მოძრაობის "სოლიდარობის" დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაში მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ სლოვენიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ იანეჟ იანშას შეხვდა.

კონფერენციის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილეს დენიელ ფრიდს შეხვდება.

31 აგვისტოს საღამოს ქალაქ გდანსკში ევროპის სოლიდარობის ცენტრის დამფუძნებელი ქარტიის ხელმოწერის ცერემონია გაიმართება, რომლის შემდეგ ოფიციალური სტუმრები გაისეირნებენ "სამეფო გზაზე", მეფე არტურის სასახლისკენ. სოლიდარობის მოედანზე მოგვიანებით "სოლიდარობის" დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო გაიმართება.

ინტერპრესნიუსი

■ ■ ■

თბილისი. ევროატლანტურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე დანიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრს პერ შტიგ მიოლერს შეხვდა.

შეხვედრაზე საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივები, ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მოგვარების, საზღვრის უსაფრთხოების, რუსეთთან ურთიერთობის, რეგიონული თანამშრომლობის, ასევე, დანიის სამეფოს მიერ საქართველოს დახმარების საკითხები განიხილეს.

როგორც სახელმწიფო მინისტრის აპარატში აღნიშნეს, დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს საგარეო პრიორიტეტებსა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების სტრატეგიას. დანიის სამეფო მხარს უჭერს საქართველოს პრობლემების განხილვას ევროკავშირი-რუსეთის დიალოგის ფარგლებში.

გიორგი ბარამიძე მოხსენებით წარსდგა დანიის საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტში, რომელიც დანიის კაადემიური წრეების და პოლიტოლოგთა ერთ-ერთი წამყვანი გაერთიანებაა. შეხვედრას ინსტიტუტის 100-მდე წევრი ესწრებოდა. მოხსენების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მინისტრსა და ინსტიტუტის წარმომადგენლებს შორის ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ფინანსური დახმარებით, 30 აგვისტოდან პანკისის ხეობაში ჩეჩნეთიდან ლტოლვილთა რეგისტრაციას დაიწყებს.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ეთერ ასტემიროვას განცხადებით, პანკისის ხეობაში ჩეჩენ ლტოლვილთა ყოველწლიური აღწერისათვის სოფელ ზემო ალვანში პუნქტი გაიხსნება. აღწერა 12 დღეს გაგრძელდება. მას პანკისის ხეობაში სამინისტროს ტრეინინგგავლილი სპეციალისტები განახორციელებენ.

2004 წელს ჩატარებული რეგისტრაციის შედეგად საქართველოში ჩეჩნეთიდან 3843 ლტოლვილი დაფიქსირდა. მოგვიანებით, ერთ ნაწილს შეუწერდა ლტოლვილის სტასუსი, ნაწილი რუსეთის ტერიტორიაზე დაბრუნდა, ნაწილი მესამე ქვეყანაში გადავიდა. ასეთი სულ 1 295 ადამიანია. ჩეჩნეთში 24 ადამიანი დაბრუნდა.

საქართველოში დღეისათვის რეგისტრირებულია 2548 ლტოლვილი, აქედან უმეტესობა - 1 610 ადამიანი ახმეტის რაიონის სოფელ დუისშია განსახლებული, ჯოყოლაში- 766, ხალაწანში-92, ახმეტაში-47, თბილისში- 33. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

მოსკოვი. კრიმინალური დეპარტამენტის მოსკოვში დააკავეს მკვლელობისთვის ბორჯომის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 36 წლის ჯუმბერ საყვარელიძე, რომელიც ეჭვმიტანილია 1994 წლის 20 ნოემბერს ბორჯომში, "კონცერნ ბორჯომის ხეობის" ოფისში ცეცხლსასხროლი იარაღიდან გასროლით ივეღი მაღრაძის, ედუარდ აკოფიანის, ვახტან სუხიშვილის, ზაირა დარბაიშვილისა და ნინო კანტიძის მკვლელობაში. მზადდება მასალები საყვარელიძის საქართველოში ექსტრადიციის მიზნით.

მედიანიუსი

■ ■ ■

თბილისი. თბილისში ცენტრალური სუპერმარკეტის ტერიტორიაზე დააკავეს აღმაშენებლის გამზირზე მცხოვრები, 52 წლის ვაჟა კაკაბაძე, რომელმაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, ურთიერთშელაპარაკებისას, დანით გულმკერდში დაჭრა 32 წლის რამაზ კვაშილავა.

მედიანიუსი

■ ■ ■

თბილისი. ორმა პირმა თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე მცხოვრებ, 63 წლის ანზორ ჯაოშვილს დანის მუქარით გასტაცა ავტომანქანა "ოპელ-ომეგა". სისხლის სამართლის პოლიციის თანამშრომლებმა "ცხელ კვალზე" გატარებული ღონისძიებების შედეგად, დააკავეს თბილისში მცხოვრები, 17 წლის გიორგი ზარაქიშვილი და გურჯაანის რაიონის სოფ. კარდენახში მცხოვრები 24 წლის ალექსანდრე ჩიბუხაშვილი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

გარდაბანი. გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებასთან დაკავეს ავტომანქანა “ტატრა”, რომლის მძღოლს, თბილისში მცხოვრებ, 47 წლის ვახტანგ გავარდაშვილს უსაბუთოდ გადაჰქონდა 3 000 ლარის ღირებულების “პეპსი-კოლა”. საქმეს ქვემო ქართლის ფინანსური პოლიცია იძიებს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა კი ბოლნისში დააკავეს ავტომანქანა, რომლის მძღოლს, თბილისში მცხოვრებ 44 წლის გელა ბიტარიშვილს უსაბუთოდ გადაჰქონდა 3 000 ლარის ღირებულების 22 ტონა ჯართი. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

„ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია“

ინტერვიუ უმრავლესობის აწ უკვე ყოფილ წევრთან დავით ზურაბიშვილთან

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲘᲓᲐᲜ

მაინც იმედი მქონდა, რომ შეიცვლებოდა დამოკიდებულება, როცა ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია, ტელევიზიით რას გადასცემენ და არა სინამდვილეში რა ხდება. ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი გამოუცდელობის, ანდა უცოდინარობის ბრალი იყო და მისი გამოსწორება შეიძლებოდა. მაგრამ ვითარება არა თუ გამოსწორდა, ყველაფერი გადავიდა ჩვევაში. ბექაური-რამიშვილის ამბავი ჩემთვის ბოლო წვეთი იყო. რამიშვილის საქციელს სწორს ვერ ვუწოდებ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბექაური გმირად უნდა ვაღიარო. ტყუილუბრალოდ არავინ არავის აშანტაჟებს, თუ საერთოდ შანტაჟზეა ლაპარაკი.

მთავარი, რამაც ამ გადაწყვეტილების მიღებისკენ მიბიძგა, იყო გიგა ბოკერიას განცხადება, რომ ბექაურის გმირული მაგალითი ყველასთვის მისაბაძი უნდა გახდეს. ვინც შეკითხვების დასმას აპირებს, ის თურმე დამნაშავე ყოფილა და მისი საკითხი ფრაქციაში უნდა გავარჩიოთ.

ამიერიდან ჩვენს საზოგადოებას ორი მისაბაძი გმირი ეყოლება: ნომერ პირველი გმირი კირკიტაძეა, ბექაური ნომერ მეორე გმირი გახდა.

- უმრავლესობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თქვენ ისედაც გიპირებდნენ ფრაქციიდან გარიცხვას. ამის შესახებ რა კომენტარს გაკეთებთ?

- თუ კარგად დააკვირდებით, საინტერესო მომენტს შენიშნავთ. უმრავლესობის წევრები თავიდან გამოთქვამენ სხვადასხვა მოსაზრებებს, ანუ იმას, რასაც მეტ-ნაკლებად ფიქრობენ, მერე შეიკრიბებიან და შეთანხმდებიან, შენ ეს თქვი, მე ამას ვიტყვიო. ბოდიში და ისღა მაკლია, ვილაცას თავი გავარიცხინო.

- ამ ეტაპზე შეგიძლიათ, გვითხრათ, მარტო დარჩენას აპირებთ, თუ რომელიმე ფრაქციაში გაერთიანდებით?

- ჯერჯერობით ტყვეობიდან თავდაღწეული აბდუშაჰილივით ვარ. დღემდე ბევრ რამეზე შეგნებულად ვიკავებდი თავს და ვერ ვლაპარაკობდი. მაგრამ ბოლოს ყველაფერი ზღვარს გადასცდა. გუნდურობა საბოლოოდ გადაზარდა კლანურობაში. სხვათა შორის, საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და როგორი კონტროლიც უნდა დააწესო ტელევიზიაში, ყველა მშვენივრად ხვდება, ვინ ვინ არის.

- რადგან უკვე უმრავლესობის მიმართ ანგარიშვალდებულებებისაგან თავისუფალი ბრძანდებით, საინტერესოა, როგორ შეაფასებთ დღევანდელ უმრავლესობას? კერძოდ, რა იფარება ნაციონალების საპარლამენტო ფრაქციის ერთსულოვნების მიღმა?

- ჩემთვის არაერთ დეპუტატს უთქვამს, რომ აქ უამრავი კორუმპირებული ადამიანია, მაგრამ მერე რა! პულტს ხომ აჭერენ ხელს და ხმას ხომ გვაძლევენ! იყვნენ თავიანთთვის. ამგვარია საერთო დამოკიდებულება. ჩვენ ხელისუფლებაში ამისთვის არ მოვსულვართ. ეს არის წმინდა კლანურობა.

ბექაურის შემთხვევა კარგი მესიჯი იყო. კერძოდ, ეს ნიშნავს: გააკეთეთ, რაც გინდათ, გინდათ, ცხრა ტერმინალი იყიდეთ, ოღონდ მმართველი ბირთვის გადაწყვეტილებას დაემორჩილეთ. გარწმუნებთ, რომ უმრავლესობაში 80 პროცენტი არანაირად არ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში.

უმრავლესობაში ძალიან ბევრი წესიერი ადამიანია. ბევრ მათგანს აქ არაერთხელ უგრძვნია თავი შეურაცხყოფილად. საკმარისია, ქვეყანაში ეს პოლიტიკა გაგრძელდეს, რომ საკმაოდ ცუდ შედეგებს მივიღებთ. ბუნებრივია, უკმაყოფილების ხარისხიც გაიზრდება და ადამიანები, რომლებიც დღეს უმრავლესობაში ჩუმად არიან, ალაპარაკდებიან. აქ უამრავი ადამიანია, ვისაც ვერაფრით შეაშინებენ და დააშანტაჟებენ.

- მათი მხრიდან დუმილის დარღვევა ცოტა დაგვიანებული ხომ არ იქნება?

- მინდა გითხრათ, რომ ძალიან კომფორტულია პარლამენტის წევრობა. მეორე მომენტიც არსებობს: ეს ადამიანები ვერ გრძნობენ, რომ თუ ხმას ამოიღებენ, პრეზიდენტის მხარდაჭერას მოიპოვებენ. პირიქით, გრძნობენ, რომ პრეზიდენტი მხარს დაუჭერს იმას, ვინც იტყვის, რომ ყველაფერი არის იდეალურად, ყველა არის კმაყოფილი. ყველაზე სამწუხარო სწორედ ეს არის! პრეზიდენტის პოზიციაც მეტ-ნაკლებად ისეთია, რასაც გიგა ბოკერია და უმრავლესობის ბირთვი ამბობს, პრეზიდენტი თანაუგრძნობს მათ. დიახ, სამწუხაროდ, დღეს ასეთი სიტუაციაა: “ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია”.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, 4 სექტემბერს დაგეგმილ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე, კობა ბექაურის საკითხის პარალელურად, კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა განიხილება.

"ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი ბევრი კოლეგა არ იყო ერთიანი. ბევრი იმალებოდა, ზოგს გადაწყვეტილებების მიღებისაც კი ეშინოდა. აღნიშნული საკითხები ფრაქციამ აუცილებლად უნდა განიხილოს" - აღნიშნა მაჭავარიანმა.

მისი განცხადებით, დავით ზურაბიშვილმა ბექაურის საკითხი საპარლამენტო უმრავლესობის დასატოვებლად მხოლოდ საბაბად გამოიყენა. "თუ ადამიანს რაიმე საკითხში გარკვევა სურს, ამის საშუალება ჩვენს ფრაქციაში ნამდვილად არის. აბსოლუტურად შესაძლებელი იყო პირისპირ გარკვეულიყო საკითხი", - აღნიშნა მაჭავარიანმა. მისივე თქმით, პოლიტიკა ძალიან რთული გამოცდაა და ბევრი მას ვერ უძლებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძისათვის დავით ზურაბიშვილის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის დატოვება მოულოდნელი არ ყოფილა.

ნადირაძის განცხადებით, ბექაურის თემა "ის თემა არ არის, რომლის გამოც დავით ზურაბიშვილს საპარლამენტო უმრავლესობის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეღო".

ნადირაძეს მიაჩნია, რომ უპრიანი იქნებოდა, თუკი ზურაბიშვილი საპარლამენტო უმრავლესობას განათლების კანონის მიღებისას დატოვებდა, რადგან განათლების კანონთან დაკავშირებითაც ზურაბიშვილს განსაკუთრებით უარყოფითი აზრი გააჩნდა.

მაია ნადირაძის თქმით, დავით ზურაბიშვილი მისი ინიციატივით დაინიშნა ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილედ.

"ჩემდა სამწუხაროდ, მისი საქმიანობა მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ზურაბიშვილს განსხვავებული კაბინეტი და განსხვავებული სავარძელი ჰქონდა", - აღნიშნა მაია ნადირაძემ.

"შეიძლება ეს შეცდომაა, რადგან მე მისი გაშვების მომხრე არ ვიყავი", - აღნიშნა მაია ნადირაძემ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

"ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია დეპუტატ დავით ზურაბიშვილს აკრიტიკებს და აცხადებს, რომ სახელისუფლებო ფრაქციიდან ზურაბიშვილის წასვლა მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

როგორც ბოკერიამ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, მისთვის გაუგებარია კობა ბექაურის მისამართით ზურაბიშვილის მიერ გამოთქმული საყვედური, რადგან მიაჩნია, რომ "როდესაც ადამიანი კოლეგას სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას უწუნებს, ეს ფაქტი კრიმინალური მენტალიტეტის გამოხატულებას წარმოადგენს".

ბოკერიას თქმით, 4 სექტემბრისთვის დანიშნულ უმრავლესობის სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად სწორედ დავით ზურაბიშვილის სახელისუფლებო ფრაქციაში ყოფნის მიზანშეწონილობა უნდა განხილულიყო. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, ზურაბიშვილმა სწორად გათვალა და ფრაქციიდან გარიცხვამდე "ნაციონალური მოძრაობა" თავად დატოვა.

"იგი ბევრ იმ მნიშვნელოვან რეფორმას არ უჭერდა მხარს, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, მათ შორის - განათლების სისტემის რეფორმას. მისი გუშინდელი განცხადება კი ბოლო წვეთი იყო", -განაცხადა გიგა ბოკერიამ. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს

კონკურსს

ქ. კიევში შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით

კონკურსის მიზანია უკრაინაში, კერძოდ ქალაქ კიევში შოთა რუსთაველის ძეგლის დასადგმელად საუკეთესო პროექტის შექმნა და გამოვლენა.

კონკურსი ტარდება ერთ ტურად, რომელშიც მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ნებისმიერ მსურველს.

საკონკურსო მასალები გამოსაფენად და შესაფასებლად წარმოდგენილი უნდა იყოს სურათების ერთვნულ გალერეაში. ნამუშევრების განხილვა და საუკეთესო პროექტის გამოვლენა მოხდება ჟიურის მიერ.

კონკურსში გამარჯვებულისთვის დაწესებულია ფულადი პრემია.

ნამუშევართა წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 10 ოქტომბერი.

საკონკურსო პირობების, დოკუმენტაციის პაკეტის და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში

თბილისი, სანაპიროს ქ.N4,
ხელოვნების დეპარტამენტი,
ტელ. 99-03-06, 99-04-83

ᲛᲐᲘᲐ ᲭᲐᲚᲐᲒᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

ევოლუციამდელი მედია

დღეს კარგ ტონად ითვლება (და ეს ტენდენცია რევოლუციამდელია) იმ მედიის გინება, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში განვითარებულ მოვლენებში დიდი როლი შეასრულა. ეს გინება ხან სამართლიანია, ხან - აკვიატებული. საერთოდ და სამწუხაროდ კი უნდა ითქვას, რომ მედიაში არ მოხდა რევოლუცია და, აქედან გამომდინარე - ევოლუცია. პრესა (იშვიათი გამონაკლისების გარდა), თავისი კარგი და ცუდი ჟურნალისტებით, ანგარებით, შანტაჟითა და შეკვეთილი კეისებით მშვენიერ და მეგობრულ სამსახურს უწევდა ხელისუფლებას მაშინაც და ახლაც. ერთადერთი, რაც ამ სფეროში შეიცვალა, არის ის, რომ გაზეთები სულ უფრო ხშირად წერენ სხვა გაზეთებზე და ტელევიზიებიც ასევე არ იშურებენ ცუდ სიტყვებს ერთმანეთისთვის. ეს ყველაფერი ისე შორს არის მიუკერძოებლობისგან, როგორც ჩვენი სახელმწიფო - თავისუფალი ქვეყნისგან, სადაც პრესა განსჯის საგნად აქცევს ყველას, ყველაფერს და მათ შორის, საკუთარ თავსაც.

ამ სახელისუფლებო ელიტამ მხოლოდ ახლა აღმოაჩინა პრესის კორუმპირებულობა და დაბალი პროფესიონალიზმი. მანამდე, საჭიროების შემთხვევაში, ხან მეგობრობის, ხან ანგარების წყალობით წარმატებულად სარგებლობდა ამ ჟურნალისტების და აი, ამ მედიასაშუალებების სამსახურით.

ჰოდა, ხელისუფლება იწყებს "კუდიანებზე ნადირობა 2"-ს მტრადქცეულ მეგობარ პრესაზე (შეგახსენებთ, პირველი რისხვა წინა ხელისუფლების კორუმპირებულ ჩინოვნიკებს დაატყდათ).

შევარდნაძის დროინდელი პრესის დიდი ნაწილისთვის შემოსავალს მართლაც შანტაჟში გაწაფულობა განაპირობებდა. დღეს მედიის ამ წარმომადგენლების ერთი ნაწილის ლექციებს მორალის თემაზე ხშირად ვისმენთ 202-თან დაკავშირებული მოვლენების დროსაც და ისედაც უყვართ მათი სტუდიებში მიწვევა პრესის პრობლემებზე საუბროდ. ეს ადამიანები კი ფულს სძალავდნენ ყველას - დეპუტატს, საგადასახადო თუ სანიტარულ მუშაკს, საბაჟოს თანამშრომელს, რკინიგზელს, პოლიციელს, მინისტრებს კაბინეტებში - ყველას, ვისთანაც გაუვიდოდათ და ამ გამდიდრებული ჩინოვნიკების ხარჯზე თავადაც მდიდრდებოდნენ - სხდებოდნენ ძვირფას მანქანებზე VIP ნომრებით, მიდიოდნენ დასასვენებლად, მკურნალობდნენ და იარაღის კოლექციებსაც აგროვებდნენ.

ახალმა პოლიტელიტამ სხვა ტაქტიკა აირჩია - არა, ეს გამდიდრებას არ ეხება, ახლების დიდი ნაწილიც წარმატებით ცდილობს ქონების დაგროვებას, აქ ბექაური ნამდვილად არ არის მარტო. უბრალოდ, პრესას დაასწრეს (“თვითგამორკვევა” არ დააცალეს, რომლისკენაც პირველი ნაბიჯები, თვით მედიის შიგნით, ძალიან მძიმედ, მაგრამ მაინც იდგმება) და იქით შეუტიეს. არც აქ ეყო მედიას კვალიფიკაცია - ახალ ხელისუფლებას თამაშის ახალი სტილი ვერ დაუპირისპირა.

ასე რომ, ბექაურისა და რამიშვილის "გაფუჭებასთან" ერთად სასჯელი მედიასაც ერგო - დაიკარგა ნდობა. ამ თამაშში ერთადერთი მოგებულია - ხელისუფლება, რომელიც სულ ადვილად აქცევს მტერს მოყვარედ და მოყვარეს მტრად. რას იზამ, ის არის პირველიც, მეორეც და მესამე ხელისუფლებაც და არაფრით აღიარებს იმას, რომ მეოთხე ხელისუფლებაში არსებული ცუდი - დაბალი პროფესიონალიზმი, მონობა, კონფორმიზმი, ფულის გამოძალვა, ჩაშვების (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და არა “ქურდული მენტალიტეტის” გავლენით) წახალისება - ის არის, რაც, უპირველესად, დანარჩენ სამში ჯერ კიდევ მძვინვარებს.

ჯერ გადაწყვიტეს, შემდეგ განიხილავენ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲘᲓᲐᲜ

გუშინწინ საღამოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ხელმძღვანელი გია შალამბერიძე ქალაქის პრემიერმა თემურ ქურხულმა დაიბარა და სრულიად მოულოდნელად აცნობა, რომ სექტემბრის შუა რიცხვებიდან სასახლის შენობა საერთაშორისო ქორეოგრაფიულ სასწავლებელს უნდა დაეთმოს, სასახლე კი ჩიქობავას ქუჩაზე მდებარე ყოფილი საბალეტო სკოლის შენობაში გადაინაცვლებს. **“მართალია, საბალეტო სკოლის შენობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობაზე პატარაა და, ალბათ, ბავშვების რაოდენობის შემცირება მოგვიწევს, მაგრამ მთავრობის გადაწყვეტილება ასეთია და ვასრულებთ. შენობა, სადაც გადავყავართ, რემონტდება და 15 სექტემბრისთვის მზად იქნება,”** - აცხადებს სასახლის ხელმძღვანელი. მართლია, სასახლის თანამშრომლები ბედს ასე იოლად ვერ შეეგუენ და აღშფოთებას ხმამაღლა გამოხატავდნენ, მაგრამ, საეჭვოა, მათმა პროტესტმა რაიმე შედეგი გამოიღოს.

საერთაშორისო ქორეოგრაფიული ცენტრს ცნობილი ბალერინა ნინო ანანიაშვილი გახსნის. **“ნინოს სერიოზული ინვესტორები ჰყავს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობა კი, დიდი ხანია, სარემონტოა. ქალაქის მთავრობამ ასეთი გადწყვეტილება ამიტომაც მიიღო,”** - სასახლის შენობის ანანიაშვილისთვის გადაცემის ფაქტს ასე ხსნის თემურ ქურხული. იგი ამ იდეის ავტორის ვინაობას არ აკონკრეტებს. კულტურის სამინისტროში აღნიშნული ინფორმაცია გუშინ მასმედიის საშუალებით შეიტყეს, ამიტომ კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავეს. თვითონ ნინო ანანიაშვილი კი, როგორც მისმა მდივანმა განგვიცხადა, თბილისში არ იმყოფება.

ქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება ისე გამოიტანა, საკითხი მთავრობის სხდომაზე ჯერ არ განუხილავს და, შესაბამისად, არც ოფიციალური დადგენილება არსებობს. **“მართალია, მთავრობის სხდომაზე საკითხი ჯერ არ გაგვიტანია და არც დადგენილების ოფიცალური დოკუმეტი არსებობს, მაგრამ ჩათვალეთ, რომ საკითხი უკვე გადაწყვეტილია,”** - აცხადებს ქალაქის პრემიერი. იგივეს ადასტურებს თბილისის მერი გიგი უგულავა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, არც ქალაქის განათლებისა და კულტურის სამსახურის ბიუჯეტში შესულა ცვლილებები. არადა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს მთლიანად ქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს, ეს კი იმას ნიშნავს, განათლებისა და კულტურის სამსახურის ბიუჯეტი სერიოზულ ცვლილებას მოითხოვს, რადგან მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლისთვის შენობის შეცვლის შემდეგ შემცირდება შენობის შენახვის ხარჯებიც, ბავშვთა და, სავარაუდოდ, პედაგოგთა რაოდენობაც, შესაბამისად კი - მათი ანაზღაურებაც.

გამორიცხული არ არის, 15 სექტემბრამდე საკითხის მთავრობის სხდომაზე გატანაც მოასწრონ და ბიუჯეტში ცვლილებების შეტანაც, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - მთავრობას საქმის კეთება უკუღმა ურჩევნია, ანუ საკითხს ჯერ წყვეტს, და შემდეგ განიხილავს.

რამდენი მევალე ჰყავს საზოგადოებრივ ტელევიზიას?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲘᲓᲐᲜ

კინწურაშვილისთვის მისი წინამორბედის მიერ დატოვებული “მემკვიდრეობა” ბევრ ეჭვს ბადებს. **“ჩნდება ბევრი კითხვა,”** - აცხადებს ტელევიზიის გენერალური დირექტორი. და, ვინაიდან საკითხში საფუძვლიანი გარკვევა ხელმძღვანელობის კომპეტენციას აღემატება, ვითარებაში გარკვევას სამართალდამცავ ორგანოებს, კერძოდ ფინანსურ პოლიციას, სთხოვს.

საჯარო მიმართვა ფინანსური პოლიციისადმი საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელობამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც აღმოჩნდა, რომ დავალიანებამ სხვადასხვა კრედიტორების მიმართ 6 მილიონს გადააჭარბა. **“გასარკვევია, სად წავიდა ის თანხები, რაც წლების განმავლობაში ტელევიზიას უნდა მოხმარებოდა? რატომ დაგროვდა ამდენი ვალი? ეჭვს ბადებს “მედია-ცენტრთან” დადებული გარიგებაც. ჩვენ ვაპირებთ, რომ საზოგადოება ჩავაყენოთ საქმის კურსში,”** - განაცხადა ტელევიზიის ახალმა ხელმძღვანელმა.

როგორც საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ლევან თარხნიშვილისგან შევიტყვეთ, **“ტელევიზიის ხელმძღვანელობის მისამართით ყოველდღე ისმის ზარები, ჩნდებიან ახალ-ახალი მევალეები, თუმცა გაუგებარია, რა ვალებზეა ლაპარაკი. პიროვნული პრეტენზია არავის მიმართ არ გვაქვს, უბრალოდ, გვსურს მდგომარეობის შესაწავლა, რაც მაკონტროლებელი ორგანოების კომპეტენციაა,”** - აღნიშნა მან.

ტელევიზიის ახალმა ხელმძღვანელმა მცირე საკადრო ცვლილებებზეც ისაუბრა. **“ჩვენ ახალი ხედვა გვაქვს, რაც თავისთავად კადრების ცვლასაც გულისხმობს,”** - თქვა თამარ კინწურაშვილმა.

ვიდრე სამეთვალყურეო საბჭო საპროგრამო პრიორიტეტებზე მუშაობს, ახალ ხელმძღვანელობას უკვე შერჩეული აქვს მთავარი პრიორიტეტი - ახალი ამბების დეპარტამენტის გარდაქმნა და გაძლიერება.

20 მილიონი ევრო საქართველოსთვის

გუშინ ფინანსთა სამინისტროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც ევროკავშირი საქართველოს 2 წლის განმავლობაში, დახმარების სახით, 20 მილიონ ევროს გამოუყოფს.

ხელშეკრულებას ხელი საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა და ევროკომისიის წარმომადგენელმა საქართველოში ტორბენ ჰოლცემ მოაწერეს. აღნიშნულ თანხას ქართული მხარე "სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის" ფარგლებში მიიღებს. 20 მილიონი ევროდან 19 მილიონი თანხის სახით გამოიყოფა, ერთ მილიონს კი ტექნიკური დახმარების ხასიათი ექნება.

მიმდინარე წელს დაგეგმილია 9,3 მილიონი ევროს გამოყოფა. თანხა, ძირითადად, სოციალურ სფეროს, განათლებას და სოფლის მეურნეობის განვითარებას მოხმარდება.

ფინანსთა მინისტრ ალექსი ალექსიშვილის ინფორმაციით, ევროკავშირის დახმარება ორი წლის განმავლობაში 6 ტრანშად განხორციელდება. პირველ ტრანშს, 1,5 მილიონ ევროს, საქართველო უახლოეს მომავალში მიიღებს. "ყოველი მომდევნო ტრანშის მისაღებად კი ქართულმა მხარემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები უნდა შეასრულოს," -აღნიშნა ალექსიშვილმა. ტორბენ ჰოლცეს თქმით, "სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა" ქართული მხარისთვის მნიშვნელოვან დახმარებას წარმოადგენს. "წლების განმავლობაში პროგრამას აღმასვლაც ჰქონდა და დაღმასვლაც, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი პროგრამაა, ამიტომ ის მომავალშიც გაგრძელდება," - განაცხადა ჰოლცემ.

1992 წლიდან ევროკავშირმა საქართველოს 400 მილიონ ევროზე მეტი თანხა გამოუყო. აქედან, 70 მილიონი - "სასურსათო უსაფრთხოების პროგრამაზე" დაიხარჯა.

24 საათი

გამოძიებას კობა ბექაურთან დაკავშირებული ფილმის დეტალები აინტერესებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲓᲘᲓᲐᲜ

“ვიდრე ფილმი ეთერით არ გავა, ფილმის დეტალებზე საუბრისგან თავი შევიკავე, რათა არ მოხდეს დეპუტატ ბექაურის მხრიდან საკუთარი საქმიანობის გათეთრება. შემდეგ კი გამოძიებასთან ვითანამშრომლებ,” - ამბობს ვახტანგ კომახიძე.

იმის გამო, რომ მთავარ თემაზე საუბარი ვერ შედგა, გამოძიება შემდეგ ვახტანგ კომახიძის და შალვა რამიშვილის და ტელეკომპანია “202”-ისა და სტუდია “რეპორტიორის” ურთიერთობით დაინტერესდა. კერძოდ, სამართალდამცველებს ვახტანგ კომახიძისგან აინტერესებდათ, იცოდა თუ არა მან თანხასთან დაკავშირებით შალვა რამიშვილისა და კობა ბექაურის შეთანხმების შესახებ. ვახტანგ კომახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას არ დააკონკრეტა, რა პასუხები გასცა მან აღნიშნულ შეკითხვებს.

ერთი სიტყვით, კომახიძის ურთიერთობა გამოძიებასთან ამ ეტაპზე დასრულებულია. იგი ბექაურის საქმიანობასთან დაკავშირებულ ფილმზე მუშაობას აგრძელებს და გვპირდება, რომ მაყურებელი მას სექტემბრის ბოლოს იხილავს. **24 საათი**

საქართველოს მოქალაქეთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის მიერ ავტოტრანსპორტის დარგში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი ჯარიმების გადახდა შესაძლებელია ბანკ "რესპუბლიკის" ყველა ფილიალში.

ბანკ "რესპუბლიკის" ფილიალების მისამართებია:

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (99532) 312161, 312181
ფაქსი: (99532) 312161
ელფოსტა: info@delisi.republic.com.ge
სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (99532) 911117, 911118, 237043
ფაქსი: (99532) 911117, 911118
ელფოსტა: info@sadguri.republic.com.ge
გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (99532) 590770, 590880
ფაქსი: (99532) 590660
ელფოსტა: info@gldani.republic.com.ge

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740
ელ-ფოსტა: info@samt.republic.com.ge

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08
ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08

ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N1
თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 13
ტელ: (995 32) 294598, 294599
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: scenter1@republic.com.ge

ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N2
თბილისი, საერთაშორისო აეროპორტი
ტელ: (995 32) 433181
ფაქსი: (995 32) 779625
ელფოსტა: ap1@republic.com.ge

ცენტრალური ფილიალის სერვისცენტრი N3
თბილისი, ფალიაშვილისი ქ. 33ა
ტელ: (995 32) 912237, 912238, 912239, 912240
ფაქსი: (995 32) 912241
ელფოსტა: info@republic.com.ge

გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N1
თბილისი, ლუბლიანას ქ. 18/20
ტელ: (995 32) 261629, 517047
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

გლდანის ფილიალის სერვისცენტრი N 2
თბილისი,დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ
ტელ: (995 32) 531951, 531952
ფაქსი: (995 32) 227566
ელფოსტა: infosc-1@gldani.republic.com.ge

თელავის სერვისცენტრი
თელავი, ნადიკვარის ქ. 13
ტელ: (995 250) 75608, 75607
ელფოსტა: info-telavi@gldani.republic.com.ge

გორის სერვისცენტრი
გორი, მოსკოვის ქ. 1
ტელ: (995 270) 70780
ელფოსტა: info-gori@gldani.republic.com.ge

ზუგდიდის სერვისცენტრი
ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. 1
ტელ: (995 215) 51982

ფაქსი: (8215)5 08 08, 5 00 08
რუსთავის სერვისცენტრი
მშენებელთა ქ. 21
ელფოსტა: info-rustavi@gldani.republic.com.ge

აშშ სელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს

2005 წლის 10 სექტემბერს აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს. აუქციონზე წარმოდგენილი იქნება **ნახმარი და დაზიანებული საყიფაცხოვრებო მოწყობილობები, ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა**.

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" გარანტიის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში მყიდველი პასუხისმგებელია აუქციონზე შეძენილი ნივთების განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

მსურველთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება დილის 9:00-დან 11:00 სთ-მდე. აუქციონი დაიწყება დილის 11:00სთ-ზე.

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

ლილო, რუსთაველი ქ. 4, აშშ საელჩოს საწყობის ტერიტორია. ცნობებისათვის დარეკეთ: 43-30-71.

ბრძოლა ისრაელის მმართველი პარტიის ლიდერობისთვის

ხათუნა გაბიევი

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ ქვეყნის მმართველი პარტიის ლიდერის პოსტის დასაკავებლად ბრძოლისთვის მზადყოფნა გამოაცხადა.

"დღეს "ლიკუდს" ისეთი ლიდერი სჭირდება, რომელიც ხალხის გაერთიანებას, ნანგრევების აღდგენასა და პარტიისათვის გამარჯვების მოტანას შეძლებს, ხოლო შემდეგ უკვე სახელმწიფოს ჩვენივე პრინციპების შესაბამისად უხელმძღვანელებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებ ამის გაკეთებას," - განაცხადა ნეთანიაჰუმ.

მმართველ პარტია "ლიკუდს" ამჟამად არიელ შარონი მეთაურობს, თუმცა როგორც უკანასკნელ ხანს მისი ვაჟის წინააღმდეგ გამოძიებულმა საფინანსო-პოლიტიკურმა მაქინაციებმაც აჩვენა, შარონს, შესაძლოა, მალე მოუხდეს პოზიციების დათმობა.

ამას ადასტურებს საზოგადოებრივი კვლევის შედეგებიც, რომლის თანახმადაც ნეთანიაჰუს გამარჯვების მოპოვება არ უნდა გაუჭირდეს, თუკი პარტიის მეთაურის არჩევნები უმოკლეს ვადებში გაიმართება.

თუმცა, შარონის პოზიციების შერყევა მხოლოდ ვაჟის არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩენით არაა განპირობებული, გაცილებით სერიოზული მიზეზები ღაზას სექტორიდან ებრაელი მენაშენეების ძალით გამოყვანა გახდა. მოსახლეობა შარონს მეტის-მეტ პოლიტიკურ სირბილეში ადანაშაულებს.

შარონის პოზიციების შერყევა მხოლოდ ვაჟის არასახარბიელო მდგომარეობით აღმოჩენით არაა განპირობებული

ნეთანიაჰუმ კი ღაზას სექტორის საკითხთან დაკავშირებით პროტესტის ნიშნად ცოტა ხნის წინ მინისტრთა კაბინეტიც დატოვა, სადაც მას ფინანსთა მინისტრის პოსტი ეკავა. მისი თქმით, არიელ შარონმა პარტიის პრინციპებს უღალატა და სხვა, უფრო მემარცხენე გზა აირჩია. შარონმა პალესტინელებთან ძალიან ბევრი დათმო, იგი მხოლოდ გასცემდა და არაფერს იღებდა სანაცვლოდ, - მიიჩნევს ნეთანიაჰუ.

"არ შეიძლება მხოლოდ ცალმხრივად გასცემდე, მიდიოდე დათმობებზე და ამავდროულად არ ფიქრობდე საკუთარ უსაფრთხოებაზე," - აღნიშნავს ყოფილი ფინანსთა მინისტრი.

როგორც პოლიტოლოგები აღნიშნავენ, ნეთანიაჰუსა და შარონის დაპირისპირება აუცილებლად გამოიწვევს ისრაელის ერთ-ერთი უძველესი პარტიის "ლიკუდის" გახლეჩას; ნაწილი ნეთანიაჰუს მიემხრობა, ხოლო ნაწილი შარონის მხარეს დარჩება. ამგვარი გახლეჩა კი ისრაელის პოლიტიკაში ცენტრის პოზიციების გაძლიერებასა და მემარჯვენეების საგრძნობლად შესუსტებას გამოიწვევს.

პარტიის რიგებში ნეთანიაჰუს უდავო პოპულარობის მიუხედავად, პოზიციების იოლად დათმობას არიელ შარონი სულაც არ აპირებს და მკაცრადაც აკრიტიკებს ნეთანიაჰუს. როგორც ორშაბათს ისრაელის სახელმწიფო ტელემიმართვაში ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ძალიან ძნელია დაეყრდნო ისეთი ადამიანის გადაწყვეტილებებს, რომელიც ემოციებით უფრო ხელმძღვანელობს, ვიდრე ლოგიკით.

"პოლიტიკოსი, რომელიც პანიკაში ვარდება და საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს, არ შეიძლება მეთაურობდეს ქვეყანას," - განაცხადა სატელევიზიო გამოსვლაში არიელ შარონმა.

ხოლო თუკი შიდაპარტიული გახლეჩა არ მოხდება და ნეთანიაჰუ მაინც გახდება პარტიის ლიდერი, კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდება მთელი სამშვიდობო გეგმა, რომელიც სხვაგვარად "საგზაო რუკადაც" იწოდება.

არჩევნების გამართვა 26 სექტემბერსაა დაგეგმილი. პარტიის მეთაურის პოსტისთვის არჩევნებში საკუთარი კანდიდატურების წარდგენას, არიელ შარონის მხრიდან მონაწილეობაზე უარის თქმით შემთხვევაში, თავდაცვის მინისტრი შაულ მოფაზი და საგარეო უწყების ხელმძღვანელი სილვან შალომიც აპირებენ.

ქარიშხალმა "კატრინამ" გეზი ჩრდილოეთისკენ აიღო

სტიქიამ ნავთობის მსოფლიო ფასები "გააღიზიანა"

ლუიზიანას, მისისიპის და ალაბამას შტატების შემდეგ გუშინ ქარიშხალმა "კატრინამ" დარტყმა ამერიკის მექსიკის სანაპიროს მიაყენა და გეზი ჩრდილოეთისკენ აიღო. სტიქიის შედეგად შტატებისთვის მიყენებული ზარალის დათვლა მხოლოდ ქარიშხლის ჩავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, მატერიალურმა ზარალმა 26 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. "კატრინამ" 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

დიანა ჩაჩუა

ადგილობრივი ხელისუფლება ლუიზიანას შტატის მოსახლეობას სახლებში დაბრუნებას არ ურჩევს. შტატის გუბერნატორის კეტლინ ბლანკოს განცხადებით, ქალაქის ქუჩებში გადაადგილება სახიფათოა. მაშველებმა წყალდიდობის შედეგების ლიკვიდირება ვერ მოასწრეს, ამიტომაც ახალ ორლეანში და მეზობელ ქალაქებში ჯერაც მიმდინარეობს იმ ხალხის ევაკუაცია, რომლებიც ქარიშხალის შედეგად გაჩენილი წყალდიდობისგან თავის დაღწევას ცდილობენ.

უბედურების ზონად გამოცხადებულ კიდევ ერთ შტატში მისისიპიში დაღუპულთა რიცხვმა 80-ს მიაღწია. ეს ინფორმაცია გუშინ, შტატის გუბერნატორმა ხელი ბარბორმა ტელეკომპანია "ენ ბი სი"-სთან საუბარში დაადასტურა. ამ დრომდე, მისისიპიში მაშველები ნავებით და ვერტმფრენებით ქარიშხალს გადარჩენილი ადამიანების ძიებით არიან დაკავებულნი. დაღუპულების უმრავლესობა მისისიპის მდინარის ნაკადმა შეიწირა. სამაშველო სამსახურების მიერ მოწოდებული მონაცემებით, 30 ადამიანი მექსიკის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ბილოქსში შენობის ჩამონგრევის შედეგად დაიღუპა, კიდევ 24 ადამიანის გარდაცვალების მიზეზი კი ძლიერი ქარის მიერ მიწიდან მოწყვეტილი ხეები გახდა.

მეზობელ ალაბამას შტატში ორი ადამიანი ქარიშხლის გამო გამოწვეული ავტოავარიის შედეგად დაიღუპა.

ფლორიდაში კი, რომელსაც "კატრინა" გასულ ხუთშაბათს დაატყდა თავს, სტიქიის შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა.

ლუიზიანას შტატში დაღუპულების შესახებ ოფიციალურად არ საუბრობენ, თუმცა როგორც ახალი ორლეანის მერმა რეი ნეიდჯინმა განაცხადა, **"ძალიან მიჭირს საუბარი. კარგი სიახლეებით ვერ გაგახარებთ. ქალაქი დანგრევის პირასაა. ქალაქის 80 პროცენტი წყლის ქვეშაა მოქცეული, ზოგ ადგილზე წყლის სიღრმე 6 მეტრს აღწევს".**

ლუიზიანას, მისისიპის და ალაბამას შტატის მილიონამდე მოქალაქე ელექტროენერგიის და სატელეფონო კავშირის გარეშეა დარჩენილი. ექსპერტების აზრით, ელექტრომომარაგების სრულად აღდგენას რამოდენიმე კვირა დასჭირდება. თუმცა, კლიმატური პირობების გამო, როდის გაჩნდება სარემონტო სამუშაოების დაწყების პირობები, უცნობია.

"კატრინას" გამო მუშაობა შეწყვიტა ახალი ორლეანიდან 35 კილომეტრში მდებარე ატომურმა ელექტროსადგურმა "Waterford"-მა. ასეთივე უსაფრთხოების ზომებია მიღებული ლუიზიანაში და მისისიპიში მდებარე ელექროსადგურებზეც.

სტიქიის შედეგად მეტნაკლებად დაზიანებულ აეროპორტებში რეგულარული რეისები ჯერ არ აღდგენილა. მაგალითად, არ მუშაობს ლუიზიანას, ალაბამას და ფლორიდას მსხვილი აეროპორტები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს აეროპორტები, შიდა რეისების გარდა, საერთაშორისო რეისებსაც ასრულებენ.

ოფიციალური პირების განცხადებით, ახალი ორლეანის ათობით ათასმა მოსახლემ ყურადღება არ მიაქცია მათ მოწოდებას, დაეტოვებინათ ქალაქი. ბევრმა უკვე დაიწყო ქალაქში დაბრუნება.

ქარიშხალი "კატრინა" შატლი "დისქავერის" სტარტსაც "ემუქრება" - შესაძლოა, მარტში დაგეგმილი სტარტი გადაიდოს. როგორც ამერიკული საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, სტიქიამ არც კოსმოსური ცენტრები დაინდო. კერძოდ, "კატრინამ" ზიანი მიაყენა ახალ ორლეანში მდებარე კომპლექს "მიჩოუდს". პირველადი ინფორმაციით, შენობის შიგნით მრავალრიცხოვანი გაჟონვებია დაფიქსირებული. ძლიერმა ქარმა უსაფრთხოების სისტემის კამერები დააზიანა. დაზიანებულია, ასევე, ოთხი შენობის სახურავი.

ქარიშხლის შემდეგ.

ქარიშხალ "კატრინას" გამო, აშშ-ს სამხრეთ-აღმოსავლეთით ნავთობის მოპოვება პრაქტიკულად შეჩერებულია. მექსიკის ყურეზე აშშ-ს ტერიტორიაზე მოპოვებული ნავთობის დაახლოებით 25 პროცენტი მოდის. გარდა ამისა, მთელი იმპორტირებული ნავთობის ნახევარზე მეტი სწორედ ამ ყურის ნავსადგურებიდან შედის.

ნავთობის მიწოდებების დღიური ნორმა 92 პროცენტით, ხოლო გაზის მოწოდება 83 პროცენტით შემცირდა. ამ ფაქტმა ნავთობმოვაჭრეები პანიკაში ჩააგდო, რამაც მყისიერად იმოქმედა ნავთობის მსოფლიო ფასებზე. ასე მაგალითად, ნავთობის ფასმა ნიუ იორკის სავაჭრო ბირჟაზე 70,8 აშშ დოლარს მიაღწია. თუმცა, ოდნავ მოგვიანებით, როცა ნათელი გახდა, რომ ქარიშხალი შესუსტდა, ფასები დაეცა და ვაჭრობა ბარელზე 67,2 აშშ დოლარის ნიშნულზე დასრულდა.

როგორც "USA today" იუწყება, სტიქიით დაზარალებულ რეგიონებში ერთი ლიტრი ბენზინი 12 პროცენტით გაძვირდა. უახლოეს ხანებში ანალიტიკოსები მთელ ქვეყანაში საწვავზე ფასების კიდევ უფრო ზრდას მოელიან. მათი აზრით, მალე ერთი გალონი (3,78 ლიტრი ბენზინი) შეიძლება 3 აშშ დოლარამდე გაძვირდეს.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, ნავთობის ფასის ზრდის პარალელურად, აშშ-ს სავაჭრო ბირჟებზე სულ უფრო მატულობს ზეწოლა პრეზიდენტ ბუშზე. სენატორები მას ნავთობის სტრატეგიული მარაგების გამოყენებას სთხოვენ, რაც 700 მილიონ ბარელს შეადგენს. აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტრომ უკვე დაიწყო ქვეყნის ნავთობის სტრატეგიული მარაგის გამოყენების საკითხის განხილვა. თუმცა, ნავთობის მარაგის ბაზარზე გამოტანის კონკრეტული ვადა და პირობები უცნობია.

საფინანსო-ეკონომიკური ჟურნალის "ფორბსის" გამომცემელი სტივ ფორბსი ბაზრის მოთამაშეებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს. მისი აზრით, ნავთობის ფასი ხელოვნურადაა გაზრდილი, რის გამოც ერთ წელიწადში ის ბარელზე 35 აშშ დოლარამდე დაეცემა.

ფორბსის ამ შეფასებას რუსი ანალიტიკოსები სკეპტიკურად უყურებენ. ამასთან, ნავთობის ფასის 35 აშშ დოლარამდე დაცემა საფრთხეს უქმნის რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც ბარელზე 40 აშშ დოლარზეა გათვლილი.

ქარიშხალმა "კატრინამ" პრობლემები შეუქმნა ყავის ფასებსაც. საქმე ისაა, რომ აშშ-ში მოუხალავი ყავის მარაგების 27 პროცენტი ახალ ორლეანში განლაგებულ საწყობებში ინახება. ექსპერტები ფასების არც ლითონებზე ზრდას გამორიცხავენ.

"ქათმის გრიპი" საფრანგეთსაც ემუქრება

ვირუსი, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა გასულ წელს აზიის ქვეყნებისათვის, ახლა უკვე ევროპასაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა, დომინიკ დე ვილპენმა უკვე გასცა განკარგულება, მაქსიმალური ზომები იქნეს მიღებული "ქათმის გრიპის" პროფილაქტიკის თვალსაზრისით.

პრემიერმა ამგვარი განკარგულება მას შემდეგ გასცა, რაც მინისტრთა კაბინეტმა "ანტივირუსული მედიკამენტების მარაგის გაზრდისა" და "მოსახლეობის პროფილაქტიკის მიზნით წინასწარი ვაქცინაციის" საკითხები პრიორიტეტებად შეიტანა დღის წესრიგში.

მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, გაძლიერდება სანიტარიული კონტროლი მსხვილ აეროპორტებში, საიდანაც საერთაშორისო რეისები ხორციელდება. გარდა ამისა, კიდევ უფრო ინტენსიური გახდება ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებთან თანამშრომლობა, ისევე როგორც ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციასა და სხვა საერთაშორისო კორპორაციებთან.

დაბოლოს, დე ვილპენმა გასცა ასევე განკარგულება, 15 სექტემბრისათვის შემუშავებულ იქნეს მოსახლეობისათვის "ქათმის გრიპის" საშიშროების შესახებ ინფორმირების ეროვნული კამპანიის გეგმა. ამ გეგმაში მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული დაავადების პროფილაქტიკისა და სამკურნალო ზომები. **24 საათი**

მოკლედ

ერაყის დასავლეთ ნაწილზე აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალებმა იერიში მიიტანეს

აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალებმა სირიის საზღვრის მახლობლად მდებარე ერაყის ქალაქ ელ-კაიმის გარეუბანზე სერიული იერიში მიიტანეს. როგორც კატარის ტელეარხი "ალ-ჯაზირა" იუწყება, ავიადარტყმების შედეგად ათეულობით ერაყელი დაიღუპა.

დაღუპულთა შესახებ განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს სხვადასხვა სააგენტო. ზოგიერთი წყაროს თანახმად, საჰაერო თავდასხმას 47 ადამიანი შეეწირა, ზოგიერთი სააგენტო კი მხოლოდ 35 ადამიანის დაღუპვის შესახებ იუწყება.

თვითმხილველთა თქმით, დაბომბვა ორშაბათს საღამოს დაიწყო. თვითმფრინავებმა გაანადგურეს სახლი, სადაც სამი ოჯახი ცხოვრობდა.

ერაყში დისლოცირებული ამერიკის ჯარების სარდლობა აცხადებს, რომ დარტყმები ბოევიკთა თავშეყრის ადგილზე განხორციელდა. ამერიკელ სამხედროთა ვერსიით, დაბომბვისას ტერორისტული დაჯგუფება "ალ-კაიდას" რამდენიმე ბოევიკი განადგურდა. ამათგან ერთ-ერთი "ალ-კაიდას" ცნობილი აქტივისტი აბუ ისლამია.

"აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა ტერორისტთა კიდევ ერთი ბასტიონი აიღეს," - აღნიშნა შტატების სამხედრო ძალების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

როგორც ცნობილია, ელ-კაიმი ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური ქალაქია ერაყში, სადაც ბოევიკებსა და ამერიკელ სამხედროებს შორის ხშირი შეტაკებები არავისთვის უცხო არაა.

ამერიკელები მიიჩნევენ, რომ სწორედ ელ-კაიმია ის პუნქტი, სადაც ქვეყნის მასშტაბით უცხოელი ბოევიკების გადანაწილება ხდება. უცხოელი ბოევიკები კი ერაყში სირიიდან აღწევენ.

იაპონია საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება უკვე დაიწყო. არჩევნები მიმდინარე წლის 11 სექტემბერსაა დაგეგმილი.

კოიძუმის თქმით, ქვეყანაში რეალური რეფორმების განხორციელება მხოლოდ მას ძალუძს. თუმცა, პრემიერის შემართებას დიდად არ იზიარებს იაპონიის ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტიის ლიდერი კატსუა ოკადა. ოკადა, რომელიც ოპოზიციურ დემოკრატიულ პარტიას უდგას სათავეში, ირწმუნება, რომ რეფორმების ნამდვილად განხორციელება ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

კოიძუმიმ არჩევნების დანიშვნის შესახებ მას შემდეგ განაცხადა, რაც პარლამენტის ზედა პალატამ უარყო ქვეყნის საფოსტო სისტემის რეფორმირების მისეული გეგმა. ეს უკანასკნელი კი უნდა ითქვას, რომ კოიძუმის ყველა ეკონომიკური რეფორმის ქვაკუთხედია.

დაბოლოს, როგორც "ბი-ბი-სი" იუწყება, იაპონიის მოქალაქეთა ყურადღების ცენტრში კვლავ რჩება ერაყიდან იაპონიის ჯარების გაყვანისა და კოიძუმის ბუშთან მეგობრობის საკითხები. **ბი-ბი-სი**

რუსეთი ბელორუსს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსით მოამარაგებს

რუსეთი ბელორუსს C-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს მიაწვდის. ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა დსთ-ს წევრი ქვეყნების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების ერთობლივი წვრთნების დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, ამჟამად საკონტრაქტო დოკუმენტების მომზადება სრულდება და ბელორუსის თავდაცვის სამინისტროს C-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი უახლოეს ხანებში გადაეცემა.

მინისტრმა თავი შეიკავა კონტრაქტის დეტალებზე საუბრისაგან. სერგეი ივანოვმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთი მზად არის, ევროპის ქვეყნებთან ერთად შექმნას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საერთო სისტემა. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, რუსეთს ამ სისტემის შექმნაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია. **რიანოვოსტი**

ჰოლანდიაში უხუცესი ადამიანი გარდაიცვალა

ჰოლანდიის ქალაქ ჰოოჰეფენში გუშინ ჰენდრიკე ვან ანდელ-სკიპერი გარდაიცვალა. ვან ანდელ-სკიპერი მსოფლიოში უხუცეს ადამიანად 1997 წლიდან (122 წლის ჟანა-ლუიზა კალმანის გარდაცვალების შემდეგ) ითვლებოდა.

მიმდინარე წლის 29 ივნისს ვან ანდელ-სკიპერმა თავისი 115-ე იუბილე აღნიშნა. დაბადების დღე მას პრინცესა ლაურენტინმა და ამსტერდამის საფეხბურთო კლუბის "აიაქსის" ფეხბურთელებმა მიულოცეს, რომელთაც ის მთელი ცხოვრების განმავლობაში გულშემატკივრობდა.

ახლა ვეძებოთ ერთმანეთი

ზაზა ფაჩუაშვილი

უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისია 2100 ადამიანს ეძებს. მათ შორის 880 ქართველი მებრძოლია, 134 - აფხაზურ მხარეს მებრძოლი და 9 - ოსურ მხარეს მებრძოლი. დანარჩენი მშვიდობიანი მოსახლეა. გუშინ, 30 აგვისტოს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე იყო, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საძმო საფლავზე აღნიშნა.

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საძმო სასაფლაო.

საძმო საფლავზე სამი ათიოდე ჯვრიანი ქვასვეტი დგას. ზოგის ქვეშ მოძებნილი და გადმოსვენებული ბიჭები წვანან. მათგან ყველას ვინაობა ცნობილი არ არის და ქვაზე მხოლოდ წელია მინიშნებული. დედები კი ყველას გლოვობენ - დაკარგულებსაც, გადმოსვენებულებსაც და "მტრის" შვილებსაც. ბევრმა მათგანმა საუბარი ვერ შეძლო, მაგრამ რამდენიმე დედამ მაინც გვიამბო დაკარგული შვილების შესახებ.

- შმაგი ბერეკაშვილის დედა ვარ. ჩემი შვილი 1991 წელს გაიწვიეს შინაგან ჯარში და აფხაზეთში წაიყვანეს. 1992 წლის 28 ნოემბერს სოფელ ქეთევანასთან შეტაკების დროს დაიკარგა. თანამებრძოლებმა თქვეს, ვიცით, რომ მეოთხე რიგში იდგა, მერე რა მოხდა არაფერი ვიცითო. მას შემდეგ დღემდე არაფერი ვიცი. მისი ნაწილიდან 9 ბიჭია დაკარგული.

- საერთოდ აფხაზეთის ომზე რას ფიქრობთ?

- კანონიერი არ იყო, შვილო, ძმებს შორის ბრძოლა. რა გვქონდა აფხაზებთან გასაყოფი? ჩვენთვის არაფერი წაურთმევიათ და მათთვის არაფერი წაგვირთმევია. მაგრამ ახალა... ერთმანეთი დავხოცეთ და დავკარგეთ. უბრძანეს ბიჭებსა და წაიყვანეს, შვილო.

- აფხაზებთან შერიგებას შეძლებთ?

- უნდა შევრიგდეთ, სხვა გზა არ არის, შვილო. ჩვენ გვინდა აფხაზ დედებთან შეხვედრა. ამბობენ, სამი აფხაზი დედა ჩამოსულიაო, მაგრამ ჩვენ ვერ ვნახეთ.

იმავე კითხვაზე კობა და სოსო გურგენიძეების დედამაც გვიპასუხა

- შერიგება როგორ არ შეიძლება, შვილო. აფხაზი დედებიც ხომ შვილმკვდარი დედები არიან. დედებმა რა დავაშავეთ? არც ჩვენს შვილებს დაუშავებიათ რამე. ომი იყო და სამშობლოს იცავდნენ.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ერქვანიამ კი კომისიის საქმიანობის შესახებ გვიამბო.

- ჩვენ ძირითადად დავამთავრეთ საინფორმაციო ბანკის შექმნა. გვაქვს სრული მონაცემები იმ ადამიანების შესახებ, ვისაც აფხაზური მხარე ეძებს. აგერ ბილბორდი დგას, სადაც 30 აფხაზი მებრძოლის მონაცემებია, რომელთაც ჩვენც ვეძებთ. მიმდინარეობს მოლაპარაკება კოლექტიური სამარხების შესახებ.

ამჟამად ვცდილობთ ბაბუშარის აეროპორტში დაღუპული თვითმფრინავის ბიჭების გადმოსვენებას. ეს სამარხი გახსნილია და იქ 34 ჩვენი მებრძოლის ცხედარია. ძალიან გვინდა, ეს თემა ამოვწუროთ. ამ პრობლემას სოხუმში გაგებით ხვდებიან და მიმდინარეობს მოლაპარაკებები. დარწმუნული ვარ, რომ როგორც კი ბაბუშარის საკითხი ამოიწურება, მოლაპარაკებები სხვა სამარხების შესახებაც დაიწყება, დაწყებული ქეთევანათი და დამთავრებული გაგრით. გეგმაში გვაქვს აფხაზური კომისიასთან შეხვედრა.

თუმცა ჩვენი ძალისხმევა დამოკიდებულია პოლიტიკურ ამინდზე. სხვანაირად უგზო-უკვლოდ დაკარგულ და ტყვეობაში მყოფი ადამიანების მოძიება ძალიან გაჭირდება.

- ომის დროინდელი ტყვეებიც არსებობენ?

- ჩვენ გვაქვს გარკვეული მინიშნებები ამის შესახებ. ტყვეები, როგორც მონები სხვა გვარითა და სახელით ჰყავთ და ამუშავებენ ზოგს შახტაში, შოგს მწყემსებთან და ა.შ. ამ საკითხზე ძალიან დელიკატური მუშაობაა საჭირო.

- ამბობენ, აფხაზი დედებიც იყვნენ ჩამოსულებიო. მართალია?

- დიახ, იყვნენ აფხაზი დედებიც, მაგრამ მივიჩნიეთ, რომ აქ ამის გაცხადების დრო არ იყო. ხომ ხედავთ ცუდად გახდა ქალბატონი ბელა ზალდასტანიშვილი, რომელმაც აფხაზეთის ომში ორი შვილი და ორი ძმა დაკარგა (ოთხივე ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერია).

- კი, მაგრამ თავად ქართველ დედებს სურთ აფხაზ დედებთან შეხვედრა და მისამძიმრება.

- ჩვენ ამ შეხვედრას მოვაწყობთ. შესაბამის გარემოს შევუქმნით და აუცილებლად მოვაწყობთ.

სხვათაშორის, რამდენიმე თვის წინათ აფხაზი შვილმკვდარი მამები ჩამოვიყვანეთ: ერთი სოხუმიდან, ერთი გუდაუთიდან, ერთი ოჩამჩირიდან და მათი შვილების ცხედრები გადავეცით ყოველგვარი პირობის გარეშე. ძალიან დიდი მადლიერები არიან. ვფიქრობ, რომ ნდობის ფაქტორი გაიზრდება და ერთმანეთს ადამიანურად გავუგებთ.

ფოტოსტატი

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო!

1992 წლის 14 აგვისტო საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღია. მაშინდელმა პოლიტიკური ელიტის ამბიციურობამ და უგუნურმა გადაწყვეტილებებმა ამ ორ უძველეს მონათესავე ერს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა მიიყვანა საბედისწერო შედეგამდე, როგორც ერთი, ასევე მეორე მხარისათვის. ეს იყო დიდი უბედურება, დიდი ტრაგედია, როგორც ქართველი, ისე აფხაზი ხალხისათვის.

ჩვენ პატივს მივაგებთ იმ ომში დაღუპულებს. დავიწყებას არ უნდა მიეცეს ის, რაც მოხდა აფხაზეთში იმ ავადმისაგონარ წლებში. იმიტომ კი არა, რომ მომავალი თაობების შეგნებაში მტრობა ჩავთესოთ, არც იმიტომ, რომ ასეთივე ბარბაროსული მეთოდებით ვინმეზე შური ვიძიოთ.

დარწმუნებულები ვართ, ომი არც ერთ მხარეს არ უნდა და ჯერ კიდევ არ ამოწურულა შანსი ცივილიზებული (ორივე მხარისათვის მისაღები პირობების გათვალისწინებით), მშვიდობიანი გზით საკითხის მოგვარებისა. საკმარისზე მეტი ისტორიული საფუძველი გაგვაჩნია იმისათვის, რათა განვაახლოთ საუკუნეების განმავლობაში ერთად თანაცხოვრების გამოცდილება ჭირსა თუ ლხინში.

ეს არის ხალხი, რომელთანაც კიდევ მრავალი საუკუნე მოგვიწევს ერთად ცხოვრება და საერთო მომავლისთვის ზრუნვა.

თავს მოვალედ ვთვლით განვაცხადოთ, რომ კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაწყვეტა იქნება კატასტროფის ტოლფასი მასში მონაწილე მხარეთათვის და ამას შთამომავლობა არასდროს გვაპატიებს. თქვენ უნდა მოგვცეთ მტკიცე პირობა იმისა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი გადაწყდება მხოლოდ მშვიდობიანი გზით და მხოლოდ ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

შეცდომების აღიარება ძლიერთა ხვედრია. ჩვენ, ქართველებმა, უნდა გამოვნახოთ საკუთარ თავში ძალა და პირველებმა ვაღიაროთ ჩვენივე შეცდომები იმ ავადსახსენებელი ომის დროს დაღუპულთა თუ გაუბედურებული ხალხის წინაშე, მიუხედავად იმისა, ბარიკადის რომელ მხარეს იდგნენ, რადგან ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ სახალხოდ მეგობრობის ხელი გაუწოდეთ აფხაზებს. ეს იყო თქვენი მხრიდან კეთილგონივრული საქციელი, მაგრამ არასაკმარისი იმისათვის, რომ აფხაზმა ხალხმა ირწმუნოს თქვენი გულწრფელობა. თქვენ უნდა მისცეთ პოლიტიკური შეფასება ამ კონფლიქტს, ყოველგვარი ძალისხმევა უნდა მიმართოთ იქითკენ, რათა არც ერთი ადამიანის უფლება არ შეილახოს და ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის ფაქტორი გამყარდეს სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიურობით. ეს აუცილებელია, რათა ხალხმა გააცნობიეროს ერთად ცხოვრების გარდუვალობა. მხოლოდ ასე შეგიძლიათ გააერთიანოთ ეს ორი ხალხი და დააყენოთ ერთნაირ პირობებში.

კავშირი ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული განვითარებისათვის
აფხაზ-ქართველთა შერიგების საზოგადოება
ინვალიდთა ინტეგრაციისა და ხელოვნების განვითარების ასოციაცია "ჰანგი"

Открытое письмо Президенту Республики Абхазии г-ну Багапш Сергею Васильевичу

Господин Президент, 14 августа 1992 года в ближайшей истории народов Абхазии и Грузии трагическая дата, поскольку начавшие военные действия принесли смерть и разруху, как с одной, так и с другой стороны. Погибло и пострадало ничем не виновное население.

Мы, грузинское население Абхазии, ныне проживающие за пределами ее, собрались для того, чтобы заявить во вес голос, о том, что имеем желание и хотим иметь возможность внести свой вклад в дело восстановления родной Абхазии.

Это война было плодом безнравственности беспомощных политиков, которые, не исчерпав все методы, мирно решать спорные вопросы, перешли к боевым действиям, которые по своей сути были преступной, братоубийственной войной.

Мы уважаем своих абхазских братьев и сестер и верим в то, что восстановим те узы братства и добрососедства, которые нас связывали спокон веков, ведь мы как никак кровные родственники. Мы верим также, что восторжествует здравый смысл и продолжим жить вместе.

Мы всегда рассматривали себя членами единой семьи, но по злой прихоти судьбы в свое время оказались по разные стороны баррикад. К сожалению, такой поворот судьбы оказался пагубной для наших народов.

Мы не имеем права жить так, как живем сейчас, ибо не простят будущие поколения.

В этот трудный исторический период население Абхазии, сделав свой выбор, избрав Вас своим путеводителем надеждой, что Вы подобно легендарного Абрскиля поведете по пути процветания Абхазии, поддерживая любые выдвинутые инициативы, способствующие помочь разрешить те спорные вопросы, которые мешают объединятся для строения общего будущего.

Мы такое же коренное население Абхазии, как и вы, и имеем право, жить и умереть на этой земле. Заявлять об этом дает нам право то, что веками мы жили бок о бок в мире и согласии, у нас было одна боль и радость, наши предки вместе отражали общих врагов и вместе угощали желанных гостей. Мы вместе принимали эту Богом дареный уголок земли и должны передать потомкам - иного нам не дано! Для них будет ясно, причина нашей боли и страданий и даст, Бог им не повторят наших ошибок.

Мы видим, какие меры Вы предпринимаете по борьбе с преступностью и для защиты прав и интересов граждан. Мы чувствуем, что Вы не препятствуете, тому что с каждым днем отношения между абхазами и грузинами постепенно налаживаются. У многих из них уже появились общие планы по разным вопросам улучшения их жизнедеятельности.

Мы просим Вас направить всевозможные усилия для расширения и укрепления этих отношений, с помошью которых поднимется доверия, увеличится сфера общих интересов, которые жизненно важно для сосуществования и налаживания мира на нашей земле.

В завершении письма, хотим выразить надежду на то, что выход затянувшегося конфликта будет найден совместными усилиями уже в ближайшее время.

Союз по зашите прав человека и демократического развития
Общественная организация по примирению Абхазцев и Грузинов
Ассоциация по развитию и интеграции инвалидов "Ханги"

გამოკითხვა

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერის აშუბას განცხადებით, აფხაზეთის ციხეებში არსებული გაუსაძლისი პირობების გამო, აფხაზი პატიმრების რუსეთში ეტაპირების საკითხს განიხილავენ. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

მელიტონ ძიძავა, მექანიკოსი, 55 წლის: "შეუერთებია აფხაზეთი რუსეთისათვის აშუბას და აშუბას გადაუწყვეტია ეს საკითხი! არა მგონია, ეს სერიოზული განცხადება იყოს და ასეთი რამ შესაძლებელი გახდეს."

ბორის კვარაცხელია, ისტორიკოსი, პროფესორი, აფხაზეთიდან დევნილი: "ეს ამბავი არ მიკვირს. ისინი უკვე დიდი ხანია, რუსეთთან ინტეგრირებულები არიან ყველა სფეროში. ნახეთ, რა ხდება ბანკებთან დაკავშირებით - მიდის აფხაზეთის კოლონიზაცია, მეორდება XIX საუკუნის სცენარი, მუჰაჯირობის პერიოდი, როცა რუსეთმა აფხაზეთში ჯერ კაზაკები და სხვ. ჩრდილოკავკასიელები ჩაასახლა, შემდეგ აფხაზები არასაიმედოდ გამოაცხადა და მასობრივად გადაასახლა. ყველა სისტემაში მიდის კოლონიზაცია. მე მიკვირს ჩვენი მთავრობის დუმილი, როცა შაგრენის ტყავივით თვალსა და ხელს შუა გვეცლება ეს კუთხე. პატიმრების ამბავიც წმინდა წყლის პოლიტიკაა, რუსეთის ბინძური პოლიტიკა. ხალხს ეს არ უნდა. ახლა უფრო გაძლიერდა ეს პოლიტიკა. არძინბა რომ არძინბაა, იმანაც კი არ იკადრა ქართველების სახლების გაყიდვა და ეს ახალი მთავრობა კი აპირებს."

კახა გახელაძე, ინჟინერი, 46 წლის: "იმ პატიმრებს და მათ მშობლებს ან ახლობლებს აღარ ეკითხებიან? პატიმრის დედას აქვს სურვილი, იაროს რუსეთში შვილის მოსანახულებლად? მე ვფიქრობ, რომ დაუფიქრებელი განცხადებაა, ან სპეციალურადაა გაკეთებული ქართული მხარის გასაღიზიანებლად. დაფიქრდება აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა და მიხვდება, რომ სჯობს აფხაზეთშივე გამოასწოროს ციხეებში მდგომარეობა და რეაბილიტაცია მოახდინოს, ვიდრე რუსეთში გაყაროს თავისი პატიმრები."

გულიკო ურუშაძე, სამართალმცოდნე: "მართლა რომ მოინდომონ აფხაზებმა ასეთი რამ, ამის უფლება რუსებს არა აქვთ, აფხაზეთი არ არის რუსეთის საკანონმდებლო სივრცეში. საერთაშორისო დონეზე აღიარებულია, რომ აფხაზეთი საქართველოს სამართლებრივ სივრცეს ეკუთვნის. თუ რუსეთი განაცხადებს, რომ ავრცელებს თავის კანონმდებლობას აფხაზეთზე, მაშინ შეუძლია პატიმრები დააჯგუფოს და გადაასჯგუფოს. მაგრამ ეს იქნება რუსეთის მიერ სხვა ქვეყნის სამართლებრივი სივრცის ათვისება, წარმოუდგენელი საერთაშორისო დონის დანაშაული რუსეთის მხრიდან. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს შეუძლებელია და ვიღაცამ რაღაცა დაუფიქრებლად წამოროშა. თუმცა რუსეთი იმდენად თავხედობს, რომ შეიძლება რაღაც საბაბი გამოიგონოს, თქვას, რომ თავისი მოქალაქეები გადაჰყავს, თუმცა ესეც გამორიცხულია. ჩვენ იმ მოქალაქეებისათვის დასტური არ მიგვიცია ორმაგ მოქალაქეობაზე. როგორც რუსეთის, ისევე, საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობაში გაწერილია, როგორ უნდა ხდებოდეს თითოეული პატიმრის აქეთ-იქით გადაყვანა, რაც ყოველმხრივ დასაბუთებული უნდა იყოს. მით უმეტეს, ასე ერთი ხელის მოსმით ყველა პატიმრის გადაყვანა წარმოუდგენელია. ეს დაუშვებელია საერთაშორისო სამართლის საპროცესო ნორმებითაც, რომლებიც ძალიან მკაცრია ამ საკითხთან დაკავშირებით."

ბადრი სარალიძე, მძღოლი, 61 წლის: "ჭკვიანები არიან, კრიმინალებს თავიდან იცილებენ. რაში სჭირდებათ რუსებს აფხაზი პატიმრები? თავისი კრიმინალები და ბომჟები არ ეყოფათ?"

ლიკა კორძაია, სტუდენტი, 24 წლის: "მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა მთავრობამ უნდა შესთავაზოს მათ დახმარება ციხეების რეაბილიტაციაში, მით უმეტეს, რომ ქართველებიც არიან იმ ციხეებში. ალბათ, უარს იტყვიან, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვცადოთ."

პაატა ხმალაძე, ისტორიკოსი. 35 წლის: "ეს არის შეფარვითი თხოვნა რუსეთისადმი, რომ აფხაზეთის ციხეების გასარემონტებლად ფული გამოყოს. ალბათ, პირდაპირ ვერ მოსთხოვა აშუბამ და პატიმრებს ჩამოვიყვან რუსეთში, უთხრა. ნეტა, რუსები რას ფიქრობენ, ამდენ ფულს ყრის რუსეთი აფხაზეთში, ეს ხომ მათი ჯიბეებიდან მიდის, უბრალო რუსებს რა ხერი აქვთ აქედან? თუ დასვენება უნდათ შავ ზღვაზე, ვინ უშლით. მოსთხოვონ თავიანთ პრეზიდენტს სავიზო რეჟიმის გაუქმება, ჩამოვიდნენ და დაისვენონ. აფხაზეთი თუ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა, უფრო უსაფრთხოდ არ იქნებიან დამსვენებლებიც და სხვა სტუმრებიც?"

გადარჩენილი ფოტოები

მენატრები!

სოხუმი, 1979 წელი. სოხუმის სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებელი. სვეტლანა ქეცბა(დირექტორი) სასწავლებლის კურსდამთავრებულებთან ერთად.

პროექტი "თქვენი აფხაზეთი"
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

გაურამ ოდიშარიას სვეტი

ფაგოტი

ცხინვალის სიახლოვეს, გამშვებ პოსტზე, ტანსაწინააღმდეგო იარაღით დატვირთული მანქანა დააკავეს. ულტრათანამედროვე ტანსაწინააღმდეგო იარაღს, თურმე, "ფაგოტი" ჰქვია.

სხვადასხვა იარაღით დატვირთული მანქანების დაკავება კონფლიქტის ზონაში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ გაოცებას ვერ ვმალავ იარაღის სახელწოდების - "ფაგოტის" გაგონებისას.

ფაგოტი ხომ ხის, სასულიერო, უმშვენიერესი მუსიკალური ინსტრუმენტია (იტალიურად - fagotto, ანუ კვანძი). ფაგოტი შუა საუკუნეებში შეიქმნა, მის გარეშე წარმოუდგენელია სერიოზული ორკესტრი.

და აი, "ფაგოტი" - უძლიერესი, სიკვდილის მთესველი იარაღი, რომელიც 80-მილიმეტრიან ჯავშანსაც აცამტვერებს.

როგორი ფარული, სადისტური სიყვარულია ჩაბუდებული კაცთა კვლის ხელოვნების განმავითარებელთა მიერ თავიანთი ნახელავისათვის შერქმეულ პოეტურ სახელებში: ავტომატური ნაღმსატყორცნი "ვასილიოკი" (ქართულად - "ღილილო". იცით, ალბათ, მინდვრის ყვავილია ერთგვარი, ულამაზესად მოჩითავს ხოლმე მდელოს), ან "ნონა" - უმშვენიერესი სახელი ქალისა, მუსიკალური გამის მეცხრე საფეხური, ცხრასტრიქონიანი სტროფი; "ედელვაისი", "მიმოზა", "აკაცია" - ესენიც ნაღმსატყორცნებია "ნონასავით". თუნდაც, საქვეყნოდ ცნობილი ხელყუმბარა "ლიმონკა" (არა "ლიმონი" კი არა, არამედ, სიყვარულით შერქმეული "ლიმონკა", თითქმის "ლიმონოჩკა").

მსოფლიოს არმიები შეიარაღებულნი არიან "ბანანებით", "ფორთოხლებით", "მაგნოლიებით", "წვიმებით", "ნიავებით"...

მე მინახავს "ვასილიოკებით", "აკაციებით", "მიმოზებით", "ედელვაისებით" დაფლეთილი ადამიანები. სწორედ ამიტომაც, ათასგზის შემძულდა იარაღი. იარაღი, რომელიც დღეს ადვილად უვარდებათ ხელთ შლეგ და გულღრძო ადამიანებს, მათ, რომლებიც თავიანთი ქმედებით მერამდენედ გვიმტკიცებენ, თუ რა შორსა ვართ ყველანი ცივილიზებული სამყაროსაგან, როგორ შორს და საცოდავად გარიყულები. უბედურია ყოველი ქვეყანა, სადაც კეთილ სიტყვაზე მეტად ტყვია ფასობს, სიყვარულზე მეტად - სიძულვილი.

2004 წლის ივლისი

სოჭი, "ჟემჩუჟინა", ხე...

1998 წლის აპრილი. სოჭი. სასტუმრო "ჟემჩუჟინა". ერთ-ერთი პირველი ქართულ-აფხაზური შეხვედრა.

და რადგანაც შეხვედრა ერთ-ერთი პირველია, ემოციებით დამუხტული, დაძაბული და მძიმეა.

ღამით "ჟემჩუჟინას" პარკში, ზღვის სანაპიროზე, ვსეირნობთ მე და აფხაზური დელეგაციის ახლად გაცნობილი წევრი, სოხუმელი კაცი. მას ომის დროს და დაღუპა. მისი და და მასთან ერთად სამოცდაათამდე ადამიანი ვერტმფრენით გადაჰყავდათ ალყაში მყოფი ტყვარჩელიდან გუდაუთისაკენ. ვერტმფრენი მთებში, "აფხაზეთის სვანეთში", სოფელ ლათას სიახლოვეს რაკეტით ჩამოაგდეს. ვერტმფრენში უმრავლესობა ქალები და ბავშვები იყო. ყველა დაიღუპა. მისი და რამდენიმე თვეში შვილს ელოდებოდა.

ახლად გაცნობილი სოხუმელი მიყვება:

- ჩემს დას და მე ბავშვობის დიდი ნაწილი ტყვარჩელის სიახლოვეს, სოფელში გვქონდა გატარებული. როდესაც სოხუმიდან სოფელში ჩავდიოდით, ბაბუასეულ სახლს მანქანიდან შორიდანვე ვცნობდით უზარმაზარი ხით, რომელიც ჩვენი ეზოს შუაგულში იდგა. იმ ხის ნახვა განსაკუთრებულად გვახარებდა. ომის შემდეგ მხოლოდ ახლახან მომიხდა სოფელში ჩასვლა. როდესაც ავტობუსიდან ჩვენი ხე დავინახე, და გამახსენდა, ისე მომენატრა, რომ ცუდად გავხდი. ავტობუსი გავაჩერებინე და ჩამოვედი. ვერ ვძლიე თავს, ვერ გავაგრძელე გზა და უკან, სოხუმში დავბრუნდი... ხშირად ვფიქრობ, რა ვუყო იმ ხეს, ხომ არ მოვჭრა-მეთქი?! მოვჭრა?..

ვუსმენ და ვგრძნობ, რომ უკვე მეც მისი გულით ვხედავ იმ ხეს.

1998 წლის აპრილი

ნუგზარ შატაიძის ირემი

უკვე ოცდახუთი წელია, ვმეგობრობთ შესანიშნავი ქართველი მწერალი ნუგზარ შატაიძე და მე.

როდესაც მის პროზაზე ვფიქრობ, რატომღაც, მისი ერთი პატარა მოთხრობა მახსენდება:

მოქმედება მთიან საქართველოში ხდება. ზამთარია, თოვს. სოფელში კინემატოგრაფისტების ჯგუფია ჩასული. ფილმს იღებენ. დილაუთენია მოთხრობის გმირი (კინემატოგრაფისტი) მდინარის პირას სეირნობას იწყებს. მოულოდნელად ასეთი სურათის მოწმე გახდება: მდინარის გაღმა მგლები ირემს მოსდევენ, საცაა დაეწევიან კიდეც, მაგრამ ირემი მდინარეში მოასწრებს შესვლას, გადმოცურავს მდინარეს და გამოღმა ნაპირზე გადმოდის (იქ, სადაც კინემატოგრაფისტი დგას). მგლები მდინარეში შესვლას ვერ ბედავენ.

გადარჩენილი ირემი ტანს იფერთხავს. თავდაპირველად, ვერ ამჩნევს მის წინ მდგარ ადამიანს, ყურადღება მგლებისკენ აქვს მიპყრობილი. შემდეგ თავს მოაბრუნებს და... ადამიანს იხილავს. სუნთქვაშეკრული ირემი და კინემატოგრაფისტი რამდენიმე წამის განმავლობაში ერთმანეთს თვალებში შეჰყურებენ.

შემდეგ ირემი ელვის სისწრაფით შეტრიალდება და მდინარიდან გაიქცევა, შედის წყალში და კვლავ მეორე ნაპირისკენ, მგლებისაკენ მიცურავს. ადამიანთან შეხვედრას კვლავ მგლებთან ყოფნას, ორი საშინელებიდან მისთვის ნაკლებად საშინელს არჩევს.

ის მოთხრობა მაშინაც მახსენდება, როდესაც სხვადასხვა რანგის მოლაპარაკებისას, თავიანთ პრეტენზიებს განაცხადებენ დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლები (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარი ეხება დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, სხვადასხვა სახელმწიფოთა ალიანსს და ა.შ.).

იქნებ, "მგლებმაც", "ირმებმაც" და "კინემატოგრაფისტებმაც" აუჩქარებლად და ერთად უნდა ვიფიქროთ, თუ რატომ გაექცა ნუგზარ შატაიძის ირემი კინემატოგრაფისტს და რატომ არჩია კვლავ მგლებთან ურთიერთობა.

ამის თაობაზე აუცილებლად მშვიდად, აუჩქარებლად და ერთად უნდა ვიფიქროთ, რადგან ჩვენ, ყველანი, სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლები, ცალ-ცალკე, სხვათა თუ ერთმანეთის თვალში, სხვადასხვა დროს, ჩვენს საზოგადოებებთან ერთად ხან "მგლები" ვართ, ხან "კინემატოგრაფისტები" და ხანაც - "ირმები".

2001 წლის ივნისი

ფეხბურთი

აღმასკომი „სეკვესტრში“ მოყვა

მიხეილ აბაიშვილი

ახალკაცმა ცვლილებები განახორციელა.

გუშინ, 30 აგვისტოს, სასტუმრო “ქორთიარდ მარიოტმა” საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე, რიგით მე-10 ყრილობას უმასპინძლა. წინა, ასევე რიგგარეშე, თუმცა, საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის მსგავსად, რომელიც 11 ივლისს გაიმართა და ნოდარ ახალკაცის უპირობო გამარჯვება-გაპრეზიდენტებით დასრულდა, გუშინდელმა თავყრილობამაც სრულ სიმშვიდესა და უნისონში ჩაიარა. მართალია, 26-ის ნაცვლად ყრილობაზე მხოლოდ 24 ხმის უფლების მქონე დელეგატი გამოცხადდა, მაგრამ ეს რაოდენობა ლეგიტიმურობისთვის სრულიად საკმარისი იყო და დელეგატებმაც, შეიძლება ითქვას, ნაყოფიერად იმუშავეს. თუმცა, იმის თქმაც არ შეიძლება, რომ დღის წესრიგი ერთობ გადატვირთული იყო შრომატევადი საკითხებით. პირველი ორი საკითხი, პრაქტიკულად, ერთი მთლიანის ორი შემადგენელი ნაწილი იყო. პირველ საკითხად დელეგატებმა სფფ-ს წესდებაში ცვლილებები შეიტანეს, რაც ფედერაციის მთავარი მმართველი, გნებავთ, საკანონმდებლო ორგანოს - აღმასკომის წევრთა რიცხოვნების შემცირებას შეეხებოდა. ძველი წესდებით, აღმასკომი 21 წევრით იყო დაკომპლექტებული. დაახლოებით ერთი თვის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ახალმა პრეზიდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ აღმასკომის საქმიანობის ოპტიმიზაციისა და უფრო მეტი ეფექტურობისთვის მის წევრთა რიცხოვნების, სულ მცირე, თერთმეტამდე შემცირება იქნებოდა აუცილებელი. როგორც ჩანს, ამ ერთი თვის განმავლობაში ნოდარ ახალკაცმა მცირედით შეიცვალა შეხედულება და მისი ინიციატივით ყრილობისთვის წარდგენილი შესწორების პროექტით აღმასკომი 15 წევრით განისაზღვრა. დელეგატებმა ერთხმად მიიღეს ეს შესწორება.

მეორე საკითხად, უკვე მიღებული შესწორების თანახმად, 15 ვაკანტურ ადგილზე აღმასკომის წევრობის კანდიდატებისთვის ხმის მიცემა იყო განსაზღვრული. უფრო სწორად, თოთხმეტ ვაკანტურ ადგილზე, რადგან წინა ყრილობაზე მიღებული შესწორების თანახმად, ფედერაციის პრეზიდენტი, ამ შემთხვევაში კი ნოდარ ახალკაცი ყოველგვარი ხმის მიცემის გარეშე ითვლებოდა აღმასკომის წევრად. წარმოდგენილი იყო თოთხმეტი კანდიდატურა და პირველი კენჭისყრის შემდეგ მხოლოდ თორმეტმა დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა. “ვიტ ჯორჯიას” პრეზიდენტმა და მეპატრონემ გურამ რუხაძემ, “ამერის” პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ და საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ გუგა სულხანიშვილმა ხმების მინიმალური, თანაც თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. კენჭისყრის მეორე ტურმა დარჩენილი ორი ვაკანტური ადგილი ფეხბურთთან უფრო ახლოს მდგომ ფოცხვერიას და რუხაძეს არგუნა. პირველ ტურში ხმების საჭირო რაოდენობა დააგროვა და აღმასკომში ადგილი დაიბევა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა. აღმასკომს გამოკლებულთაგან აღვნიშნავ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივანს ემზარ ზენაიშვილს, რომლის კანდიდატურაც გუშინდელ კენჭისყრაზე საერთოდ არ განხილულა. თუმც, როგორც ირკვევა, ზენაიშვილს, რომელიც თავის ძირითად და საკმაოდ საპასუხისმგებლო პოსტზე ძალზე დაკავებულია, აღარც სურდა ფეხბურთის მმართველ ორგანოში მუშაობა. აღმასკომი დატოვა ვეტერანმა ფეხბურთელმა ვლადიმერ ელოშვილმა.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დაფინანსოს სესხის ნაწილით ტყიბულის N 6 საშ. სკოლის შენობის რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

ტყიბულის სათემო კავშირთან "ცხრაჯვარი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ცხრაჯვარი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქ. ტყიბული
N6 საშ. სკოლის შენობა, თაყაიშვილის ქ. N1
საკონტაქტო პირი ერეკლე ჯინჯიხაძე, სათემო კავშირი "ცხრაჯვარი"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 30 აგვისტოდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქ. ტყიბული
N6 საშ. სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი ერეკლე ჯინჯიხაძე, სათემო კავშირი "ცხრაჯვარი"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 27 სექტემბერი 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

„ხუთჯვაროსნები“ რევანშისთვის ემზადებიან

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ნაკრებს მალხაზ ასათიანის იმედი აქვს.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ სრულფასოვანი შეკრება დაიწყო. ყველა გამოძახებული ფეხბურთელი უკვე ნაკრების მთავარი მწვრთნელის, გაიოზ დარსაძის განკარგულებაშია. შეგახსენებთ, რომ 3-დან 7 სექტემბრის ჩათვლით, ჩვენი ქვეყნის უპირველეს საფეხბურთო გუნდს ორი უმნიშვნელოვანესი ბრძოლის გადატანა მოუწევს. ჯერ 3 სექტემბერს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე უკრაინის ნაკრებს ვეთამაშებით, ხოლო 7 სექტემბერს “ხუთჯვაროსნები” უკვე დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ამ ქვეყნის ნაკრებს შეერკინებიან. შეგახსენებთ, რომ უკრაინასთან შეხვედრაში ჩვენს გუნდს ვერ დაეხმარება ეგრეთ წოდებული “მეთორმეტე ფეხბურთელი” - გულშემატკივარი. ფიფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამ დღეს ჩვენი ნაკრები დისკვალიფიცირებულია და ეროვნულის ტრიბუნებზე მაყურებელს არ შეუშვებენ. თამაშს მხოლოდ 150 ოფიციალური პირი (მათ შორის, ჟურნალისტები) დაესწრება.

გაიოზ დარსაძემ გუშინ ერთადერთი ღია ვარჯიში გამართა, რომელიც ორი ბუნდესლიგელის, ლევან კობიაშვილის და ალექსანდრე ცქიტიშვილის გარეშე დაიწყო. თუმცა, ვარჯიშის მსვლელობისას ეს ფეხბურთელებიც პირდაპირ აეროპორტიდან მოვიდნენ და ნაკრებს შეუერთდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ საწვრთნელი პროცესი, რომელმაც მედიის დიდი ინტერესი გამოიწვია, სწორედ ამის გამო ერთგვარად არაფორმალურ ვითარებაში წარიმართა. როგორც ჩანს, გაიოზ დარსაძე მკაცრად აპირებს კონსპირაციის დაცვას, რის გამოც ამ ვარჯიშზე აქცენტი მხოლოდ ფიზიკურ მომზადებაზე და ყველა გუნდისათვის მიღებულ აუცილებელ სავარჯიშო ელემენტებზე გაკეთდა. ორგანიზმის ფიზიკური დატვირთვისთვის შემამზადებელი მოთეღვა და კუნთების გახურება, ეგრეთ წოდებული “კვადრატი”, ორმხრივი თამაში და კარში დარტყმები. ამ ვარჯიშს დარსაძეს ტაქტიკური და სტრატეგიული კომბინაციები არ დაუმუშავებია. როგორც ჩანს, ამის გაკეთებას ნაკრების დამრიგებელი მოგვიანებით, “დახურულ ვარჯიშებზე” აპირებს.

მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო მოსაზრებით უკრაინასთან მატჩში ფავორიტად ჯგუფის ლიდერი, უკრაინა ითვლება, ამ მოსაზრებას არ იზიარებენ არც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი და არც ფეხბურთელები. დარსაძის თქმით, 3 სექტემბერსაც და ყველა სხვა შეხვედრაშიც მისი გუნდი მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. დახლოებით იგივე აზრს იზიარებენ ნაკრების ფეხბურთელებიც. “მართალია, უკრაინასთან გასვლით შეხვედრაში, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე გაიმართა, მარცხი განვიცადეთ, მაგრამ დამეთანხმებით, რომ მაშინ ძალიან კარგად ვითამაშეთ და წაგებას არ ვიმსახურებდით. მაშინ უკრაინელებს არ დავეჩაგვრინეთ არც ბურთზე კონტროლით, არც ტერიტორიული უპირატესობის თვალსაზრისით, არც სახიფათო მომენტების რაოდენობით და არც სხვა საფეხბურთო კომპონენტით. სამწუხაროდ, ბლოხინის გუნდმა ერთ და ალბათ მთავარ კომპონენტში გვაჯობა - მაქსიმალურად გამოიყენა საგოლე მომენტები. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად უმაყურებლო ტრიბუნების წინაშე მოგვინევს თამაში და ჩვენი გულშემატკივარი ვერ დაგვეხმარება, ვეცდებით, ერთი წლის წინანდელი მარცხისთვის რევანში ავიღოთ. საქართველოს ნაკრებს ამის პოტენციალი ნამდვილად გააჩნია”, - განაცხადა “24 საათთან” საუბარში ჩვენი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა მალხაზ ასათიანმა.

დმანისის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს დმანისის რაიონის სოფლების განთიადისა და ჯავახის გაზიფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად

(დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი)

სამუშაოების ჩატარება მოხდება სამ ეტაპად (ლოტი):

ლოტი 1. გაზოგამანაწილებელი სადგურის მშენებლობა (სოფელ განთიადში).

ლოტი 2. სოფელ განთიადის გაზიფიკაცია.

ლოტი 3. სოფელ ჯავახის გაზიფიკაცია.

* აღნიშნული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად გამგეობა იწვევს მსურველებს.

1. მიწოდების ვადა 2005 წლის განმავლობაში.

2. მსურველებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 15 და16 სექტემბერს, 12 საათიდან 16 საათამდე სატენდერო კომისიაში.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების საქმის წარმოება, სანაცია, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) მონაცემები (რეკვიზიტები) ტენდერში მონაწილის შესახებ;

ე) რეგისტრაციის მოწმობის ასლი იურიდიული სტატუსის შესახებ (ნოტარიულად დამტკიცებული).

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. ყველა მონაწილისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო დავალიანებათა შესახებ 2005 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით;

ბ) ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობებისა და გამოცდილების შესახებ;

გ) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებაზე ლიცენზია (ნოტარიულად დამტკიცებული);

დ) ცნობა სააღმსრულებლო ბიუროდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს სააღმსრულებლო წარმოება.

4. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე შემსრულებელი.

5. სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე, გაიცემა ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქ. N41-ში, შესაბამისი მოსაკრებლის, 500 ლარის გადახდის (საიდენტიფიკაციო კოდი 228881760 დმანისის სახალხო ბანკში კოდი 220101425 ა/ა 1313033030001) შემდგომ 2005 წლის 18 და 19 სექტემბერს, 12 საათიდან 16 საათამდე .

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში ვერ წარმოადგენს მე-3 მუხლში მოცემულ მონაცემებს ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

7. სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი.

8. დამატებითი ინფორმაციის შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგ მისამართზე: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. N41, დმანისის რაიონის გამგეობა. სატენდერო კომისია ან სატენდერო კომისიის აპარატი. ტ. 2-10-01.

პასუხისმგებელი პირი: ზაზა მენთეშაშვილი.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე გზების, მოედნებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესაკეთებელი გზების, მოედნებისა და ტროტუარების სავარაუდო საერთო ფართობი 7150კვმ.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 დეკემბრამდე;

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემები, უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, 2005 წლის 16 სექტემბრის 11 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი სარაჯიშვილის გამზირი N1 გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიურ ან სხვა სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაციას სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ;

ბ) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ;

გ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

დ) ლიცენზიას საგზაო-სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 20 სექტემბრის 11 საათიდან 2005 წლის 21 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სარაჯიშვილის გამზირი N1 გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გ. გველებიანი - საბინაო-კომუნალური განყოფილების მთ. სპეციალისტი, სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 65-29-93; და ნ. ლომჯარია - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი: 62-96-73; მისამართზე: სარაჯიშვილის გამზირი N1 გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.

სატენდერო კომისია

ამერიკის შეერთებული შტატები შავდება, ყვითლდება და ლათინოსდება

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ-ში

ამერიკა ფერადდება

ახლახან გამოქვეყნდა 2004 წლის 1 ივლისის მოსახლეობის აღწერის ახალი მონაცემები. მისი დეტექტიური სიუჟეტი ასეთია: მომავალი ფართომასშტაბიანი დემოგრაფიული რევოლუცია ამერიკის შეერთებულ შტატებში. აშშ-ში წინა აღწერა ჩატარდა 2000 წლის აპრილში. მას შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობა 4.3 პროცენტით გაიზარდა და შეადგენს 293.7 მილიონს ანუ ორჯერ მეტს, ვიდრე რუსეთში. აშშ-ში შავკანიანთა რიცხვი გაიზარდა 5.7 პროცენტით (39.2 მილიონი), აზიელებისა - 16.2-ით (14 მილიონი), ლათინოსების - 17-ით (41.3 მილიონი). ამავე ოთხი წლის განმავლობაში თეთრკანიანთა რიცხვი გაიზარდა მხოლოდ 1.1 პროცენტით და შეადგენს 197.8 მილიონ ადამიანს. "დანარჩენი" - უმცირესობის, ერთად აღებულის, საშუალო ნამატი 11.6 პროცენტია და შეადგენს 95.8 მილიონ ადამიანს.

ასეთია საერთო სურათი, რომლის დინამიკა ხელისგულზეა. აშშ-ის მოსახლეობის თეთრკანიან უმრავლესობასა და ფერადკანიან უმცირესობას შორის სულ უფრო და უფრო აჩქარებული "როქირება" ხდება.

მთლიანობაში ქვეყანა იმავე მიმართულებით მოძრაობს, როგორც მისი ორი ყველაზე მეტად დასახლებული შტატი - კალიფორნია და ტეხასი, სადაც რასობრივი და ეთნიკური უმცირესობანი უკვე მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ. თეთრები (არალათინოსები) ჯერ კიდევ შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის ორ მესამედს, მაგრამ, აღწერის ბიუროს გაანგარიშების თანახმად, 2005 წლისთვის მათი წილი მხოლოდ ერთი მესამედი იქნება. ტეხასში უმცირესობები შეადგენენ 11.3 მილიონ ადამიანს ანუ შტატის 22.5-მილიონიანი მოსახლეობის 50.2 პროცენტს. ტეხასი გახდა მეოთხე შტატი, რომელშიც უმცირესობა გადაიქცა უმრავლესობად. დანარჩენი სამი არის: ჰავაი (77 პროცენტი), ნიუ მეხიკო (56.5 პროცენტი) და კალიფორნია. ამ უკანასკნელში 1998 წლიდან უმცირესობა შეადგენს უმრავლესობას (დღევანდელი მონაცემებით - 55.5 პროცენტს). თუმცა, არც ერთ ამ შტატში არც ერთი უმცირესობა, ცალკე აღებული, არ შეადგენს უმრავლესობას. მერილენდის, მისისიპის, ჯორჯიის, არიზონისა და ნიუ იორკის შტატებში უმცირესობები შეადგენს 40 პროცენტს. როგორც ტეხასელი დემოგრაფი სტივენ მერდოკი წერს, "ტეხასი, გარკვეული აზრით, წარმოადგენს გენერალურ რეპეტიციას იმისა, თუ როგორ შეიცვლება მომავალში მთელი ქვეყანა. ტეხასის მომავალი სულ უფრო მეტად უკავშირდება უმცირესობებს. თუ მათი განათლება და შესაძლებლობები დაიწყებს ჩამორჩენას, შტატი, გლობალური ეკონომიკის ფარგლებში, ნაკლებად კონკურენტუნარიანი აღმოჩნდება". მერდოკის თანახმად, ტეხასში უმცირესობების რიცხვის ზრდის ნახევარი მოდის იმიგრაციაზე, მეორე ნახევარი კი სიკვდილიანობაზე შობადობის უპირატესობის შედეგია. ლათინოს ქალებს საშუალოდ სამი შვილი ჰყავთ, შავკანიანებს - 2.3 და თეთრებს - 1.9.

შავკანიანი მოსახლეობის ყველაზე დიდ კონცენტრაციას ადგილი აქვს ნიუ იორკის შტატში (3.5 მილიონი). კალიფორნიაში ლათინოსებისა (12.4 მილიონი) და აზიელების (4.8 მილიონი) ყველაზე დიდი რაოდენობაა.

ლათინოსების სამოქალაქო უფლებების საზოგადოების ნაციონალური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი სესილია მუნიოსი ამტკიცებს, რომ "ასეთი მრავალფეროვნება და მუდმივი დემოგრაფიული ცვლილებები ქმნის ჩვენ ქვეყანას ასე დინამიკურს. ეს არ წარმოშობს არეულობას და დაძაბულობას. ეს სუფთა ამერიკული პროცესის შემადგენელი ნაწილია" (ეს სურათიც ფერადია... ვარდისფერი. - მ.ს.). სხვათა შორის, მუნიოსი იძულებულია აღიაროს, რომ ლათინოსთა პოლიტიკური ძალა ჯერ კიდევ უნდა დაეწიოს მათ დემოგრაფიულ ძალას. კონკრეტულად იმიტომაც, რომ ლათინოსების ერთი მესამედი 18 წელზე ახალგაზრდაა და ყველა არ არის აშშ-ის მოქალაქე.

თუ აშშ-ის დემოგრაფიულ პრობლემას განვიხილავთ არა შტატების, არამედ საგრაფოების მიხედვით, მაშინ უმცირესობების მიხედვით პირველ ადგილზეა ქვეყნის მეორე ქალაქი ლოს ანჯელესი (4.6 მილიონი ლათინოსი და 1.4 მილიონი აზიელი). თეთრებზე მთელი მოსახლეობის (9.9 მილიონი) მხოლოდ 30 პროცენტი მოდის. კუკის საგრაფოში, ილინოისის შტატში, სადაც ჩიკაგოც შედის, შავკანიანების ყველაზე დიდი რაოდენობაა - 1.4 მილიონი. ქვეყნის ხუთ ყველაზე დიდ საგრაფოში ლათინოსები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 36 პროცენტს: 9.1 მილიონი 25.4 მილიონი ადამიანისგან, რომლებიც ცხოვრობენ ლოს ანჯელესის, კუკის, ჰარისის (ტეხასში, ქალაქი ჰიუსტონი), მარიკოპის (არიზონაში, ქალაქი ფენიქსი) და ორანჯის (კალიფორნია) საგრაფოებში.

მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემების თანახმად, კალიფორნიასა და ტეხასში ლათინოსები დასახლებული არიან პერიფერიებში, შტატების საზღვრებთან, შავკანიანები კი - ქალაქის რაიონებში. ლათინოსები შეადგენენ ყველაზე მრავალრიცხოვან უმცირესობას ტეხასის ხუთი უმსხვილესი ქალაქიდან ოთხში - ჰიუსტონში, დალასში, სან ანტონიოსა და ელ პასოში. არანაკლებ დამაჯერებლად არიან ისინი წარმოდგენილნი სოფლებში.

ესპანელმა მოგზაურმა ქრისტოფორ კოლუმბმა იცოდა, რას აკეთებდა, როდესაც ამერიკა აღმოაჩინა!

ამჯერად რობერტ კენედი

კიდევ ერთი ფილმი კენედის შესახებ. ამჯერად მას ოლივერ სტოუნის ნაცვლად ემილიო ესტევესი იღებს, ჯონის ნაცვლად ფილმი რობერტის მკვლელობის ისტორიას ასახავს და მთავარ როლებს ენტონი ჰოპკინსი და დემი მური თამაშობენ.

"ბობი" ნაწილობრივ დოკუმენტური ფილმი იქნება, ნაწილობრივ - მხატვრული. მოქმედება ლოს ანჯელესის "ემბესედორ ჰოტელში" მოხდება, კენედის მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე. ჰოპკინსი სასტუმროს შვეიცარის როლს შეასრულებს, მური - რესტორნის მომღერლის. თემები ასეთი იქნება: რასობრივი სტერეოტიპები, კლასობრივი სხვაობები და სქესობრივი უთანასწორობა.

ესტევესი აცხადებს: "მიუხედავად იმისა, რომ ფილმში 1968 წლის კალიფორნიული არჩევნების მთავარი გმირები ჩანან, "ბობი" არ იქნება პოლიტიკური ფილმი. ეს იქნება სურათი რასებს შორის ურთიერთობების შესახებ. სასტუმრო და მის ჭერქვეშ თავშეყრილი გმირები კი ერთგვარ მიკროკოსმოსს შექმნიან იმის ასაღწერად, რაც იმ დროს მთელ ამერიკაში ხდებოდა..."

ფილმის ბიუჯეტი 10 მილიონი დოლარია, გადაღებები 25 ოქტომბერს დაიწყება. ლოს ანჯელესის ისტორიული სასტუმრო "ემბასადორი" დანგრეულია და თავიდან შენდება, ამიტომ მის ინტერიერს ფილმისთვის, სავარაუდოდ, სასტუმრო "ბალტიმორში" აღადგენენ.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დაფინანსოს სესხის ნაწილით **ქ. წყალტუბოს წყალსადენის რეაბილიტაცია**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

წყალტუბოს სათემო კავშირთან "წყალტუბო", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"წყალტუბო"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქ. წყალტუბო,
საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი ავთანდილ კუტივაძე, სათემო კავშირი "წყალტუბო"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 29 აგვისტოდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **5 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ქ. წყალტუბო,
საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი ავთანდილ კუტივაძე, სათემო კავშირი "წყალტუბო"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 28 სექტემბერი 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დაფინანსოს სესხის ნაწილით პატარა ლიახვის ხეობის, სოფელ ერედვის და ბერულას წყალმომარაგების სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ბერულას თემის განვითარების კომიტეტთან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე ბერულას თემის განვითარების კომიტეტი იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, პატარა ლიახვის ხეობა,
ერედვის თემის' საკრებულოს შენობა.
საკონტაქტო პირი მურმან ქრისტესიაშვილი თემის განვითარების კომიტეტის თავჯდომარე.

2005 წლის 31 აგვისტოდან 30 სექტემბრამდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 3700 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, პატარა ლიახვის ხეობა
ერედვის თემის საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი მურმან ქრისტესიაშვილი თემის განვითარების კომიტეტის
თავჯდომარე

2005 წლის 30 სექტემბერს 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

საერთაშორისო ენის გაკვეთილი

თეონა ჭაფარიძე

სტივენ ალექსანდრ ბრაუნი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მე-5 სართულზე გუშინ დილიდან ხალხმრავლობა შეინიშნებოდა: საპრესკონფერენციო დარბაზში მრგვალ მაგიდასთან თავი მოეყარათ თეატრების დირექტორებს, სამხატვრო ხელმძღვანელებსა თუ მენეჯერებს. ამ უკანასკნელთა ფუნქციები თუ სამოქმედო ასპარეზი ნელ-ნელა უკვე იკვეთება პოსტ-საბჭოთა art-სივრცეში და რა თქმა უნდა, ქართულ art-სივრცეშიც. მაგრამ მიუხედავად თითქმის თხუთმეტწლიანი თავისუფლებისა, ჩვენ სწორედ ახლა ვიწყებთ იმის სწავლას, თუ როგორ უნდა ვმართოთ და გავყიდოთ ხელოვნება მსოფლიო ბაზარზე, ან როგორ შევქმნათ ადგილობრივი ბაზარი და რა შევთავაზოთ ხელოვნების მომხმარებელს.

სწორედ ამ ცარიელი ნიშის შესავსებად **კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა და აშშ-ს საელჩომ საქართველოში** საკმაოდ ავტორიტეტული ფიგურა - ნუი იორკის "მეტროპოლიტენ ოპერას" მენეჯერი მოიწვია თბილისში. ბატონი **სტივენ ალექსანდრ ბრაუნი** თბილისს 14 აგვისტოს ესტუმრა და თავდაპირველად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებისათვის მასტერკლასები და ლექციები წაიკითხა. **"ჩვენმა თეატრებმა დანარჩენ მსოფლიოსთან კონტაქტი საერთაშორისო ენაზე უნდა დაამყარონ. სწორედ ამ ენის შესწავლაში დაგვეხმარება გამოცდილი პროფესიონალი"** - განაცხადა დღეს პრესკონფერენციაზე ოპერის თეატრის გენერალურმა დირექტორმა დავით საყვარელიძემ.

ბატონი სტივენ ბრაუნი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამით, საქართველოში ჩამობრძანდა როგორც კულტურული კავშირების დესპანი, ხოლო თავად პროგრამა გამიზნულია კულტურის სფეროში გამოცდილების გაცვლისა და ადგილობრივი შესაძლებლობების გასავითარებლად.

მისი ბიოგრაფია მოკლედ ასე გამოიყურება: მუშაობდა დაახლოებით 130 სხვადასხვა სპექტაკლზე, ძირითადად რეჟისორის თანაშემწედ, აგრეთვე უამრავ სატელევიზიო გადაცემაზე (პირდაპირი ეთერი თუ ჩანაწერი) მოპოვებული აქვს 3 "ემის" ჯილდო სატელევიზიო წარმოდგენისათვის - ვაგნერის ოპერა "ნიბელუნგების ბეჭედი". დღეს ის "მეტროპოლიტენ ოპერას" მენეჯერია.

რას ნიშნავს იყო თეატრის მენეჯერი და თანაც ისეთი დიდი და ცოცხალი ორგანიზმისა, როგორიც "მეტროპოლიტენ ოპერაა"? - ეს ნიშნავს, იყო პასუხისმგებელი საშემსრულებლო ჯგუფების ყოველწლიური მიმდინარე დანახარჯების ხარჯთაღრიცხვაზე, რაც წელიწადში 20 მილიონ დოლარზე მეტს შეადგენს. პასუხისგებელი ხარ კვირაში 5 წამოდგენისა და დღეში 11-მდე რეპეტიციის უზრუნველყოფაში, დასის ყველა წევრის, ქვეყნის შიგნითა თუ მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე 500-მდე სოლისტის, სტატისტების, გუნდის, ბალეტისა და ორკესტრის პერსონალის ადმინისტრირებაში და კიდევ უამრავ სხვა დეტალსა თუ ნიუანსზე. ბატონი სტივენი ერთ-ერთია ინ სამ მენეჯერთაგან, რომლებიც პასუხს აგებენ დასის 460-მდე წევრის აშშ-ში, ევროპასა და იაპონიაში გასტროლის ორგანიზებასა და კოორდინირებაზე.

ბატონი სტივენ ბრაუნი ქართველ თეატრალურ მენეჯერებსა თუ თეატრალური ადმინისტრაციის წამომადგენლებს დღეს ამ სფეროში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სპონორების მოზიდვის ხელოვნებაზე და მარკეტინგული პროგრამების შექმნაზე ესაუბრებოდა.

"საქართველოს უკვე ჰყავს ისეთი დონის მომღერლები, როგორებიც არიან პაატა ბურჭულაძე და ლადო ათანელი, მაგრამ იმისათვის, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრი გადავიდეს საერთაშორისო სტანდარტებზე, აუცილებელია თანხების მოძიება და ახლებური მენეჯმენტი" - განუცხადა მან მასმედიის წარმომადგენლებს.

დღესვე პრესკონფერენციაზე სამინისტრომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: პრეზიდენტის განკარგულებით კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს კონკურსს შოთა რუსთაველის ძეგლის შესაქმნელად. საკონკურსო ნამუშევრები ესკიზების სახით 10 ოქტომბერს გამოიფინება ეროვნულ გალერეაში. ჟიურის მიერ გამოვლენილი გამარჯვებული ავტორის ნამუშევარი საბოლოოდ კიევში, რუსთაველის ქუჩაზე აღიმართება.

კარნავალი ნოთინგ ჰილში

ლონდონის დასავლეთ ნაწილში, კერძოდ, ნოთინგ ჰილში მორიგი კარნავალი იმართება. აგვისტოს მცხუნვარე მზის ქვეშ ღია ფერებში ჩაცმული მომღერლები, მოცეკვავეები და მუსიკოსები ლონდონის ქუჩებში მხიარულ პროცესიებს აწყობენ.

ნოთინგ-ჰილის კარნავალს საფუძველი 41 წლის წინ ჩაეყარა. მაშინ, კარნავალის მონაწილეებს ემიგრანტები შეადგენდნენ, რომლებიც ლონდონში აფრიკიდან და კარიბის ქვეყნებიდან იყვნენ ჩასულნი. წლების განმავლობაში კარნავალის პოპულარობა იზრდებოდა და დღეს ის ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კარნავალს წარმოადგენს.

ნოთინგ ჰილის კარნავალის გარდა იქვე, ლონდონის ჰაიდ-პარკში იმართება "კარიბის გამოფენა", ოჯახური დღესასწაული, რომელიც პირველად იმართება ლონდონის მერის კენ ლივინგსტონის ინიციატივით. დასაწყისში, ლივინგსტონს სურდა კარნავალის მსვლელობა ნოთინგ-ჰილამდე გაეგრძელებია, თუმცა ორგანიზატორებმა ამაზე კატეგორიული უარი გააცხადეს და ტრადიციის დარღვევას შეეწინააღმდეგნენ. ამის შემდეგ იძულებულნი გახდნენ, "კარიბის გამოფენა" ცალკე ჩაეტარებინათ.

ნოთინგ ჰილის დღესასწაულამდე ტრადიციულად "ბავშვთა დღე" იმართება, რომელსაც ყოველთვის უამრავი ხალხი ესწრება. კვირას "ბავშვთა დღეს" 200 ათასი ადამიანი დაესწრო. რაც შეეხება მთავარ ღონისძიებას, ორგანიზატორები ფიქრობენ, რომ 600-დან 700 ათასამდე ადამიანმა თუ მიიღო კარნავალში მონაწილეობა, ეს მიღწევაა და თუ დამსწრეთა რიცხვმა მილიონს მიაღწია, ეს საერთოდ ბრწყინვალე შედეგი იქნება.

იმ შემოგარენში, სადაც კარნავალი იმართება, წინასწარ არის დამონტაჟებული 40 უძლიერესი აუდიო სისტემა. ქუჩებში ასევე დამონტაჟებულია 8 ვიდეოკამერა. ხელისუფლება აცხადებს, რომ არ ფლობს არანაირ ინფორმაციას მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ, თუმცა, კარნავალს 10 ათასი პოლიციელი ემსახურება.

აბიტურიენტო!

**კავკასიის უნივერსიტეტმა
(კავკასიის ბიზნესის სკოლა /CSB/)**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით მიიღო დამატებითი 96 ადგილი და უფლება I კურსზე ჩარიცხოს ეროვნული გამოცდების შედეგად სახელმწიფო გრანტის ან ვაუჩერის მქონე აბიტურიენტი.

**გთხოვთ, ინფორმაციის მისაღებად მოგვმართოთ:
მის: კოსტავას 77, VI კორპუსი, IV სართული
ტელ: 941 691, 313 225
E-mail: info@csb.ge
საკონტაქტო პირი: მაკა ციბაძე**

იდუმალი ქალი დაბადების დღეს აღნიშნავს

ჭაღარათმიანი ქალი ნიუ იორკის ქუჩებს მიუყვება. კამერა მას შორიახლოს მიჰყვება და სილუეტს ფოკუსგარეშე გვაჩვენებს. თუმცა, მზერის დაძაბვის გარეშეც ცხადია - უცნობი ქალი ნამდვილად გრეტა გარბოა. "მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალი, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო", - მაშინვე გვეუბნება ნარატორი ჯული კრისტი და ამ სიტყვებით იწყებს თხრობას ახალ დოკუმენტურ ფილმში უმშვენიერეს და ყველაზე იდუმალ ვარსკვლავზე, რომელიც 1990 წელს გარდაიცვალა.

ვისაც აქვს საკაბელო არხი "თარნერ ქლასიქ მოვიზ" შეუძლია ცნობილი კინოდოკუმენტალისტის კევინ ბროუნლოუს ამ ახალი ფილმის პრემიერაც ნახოს, რომელიც 6 სექტემბერს გაიმართება. შემდეგ კინო-არხი ვარსკვლავს ერთთვიან რეტროსპექტივას მიუძღვნის. ასე აღნიშნავს "თარნერ ქლასიქი" სტოკჰოლმში გრეტა გუსტაფსონად დაბადებული მსახიობის დაბადების დღეს, რომელიც 18 სექტემბერსაა.

ახალი დოკუმენტური ფილმის გამხსნელი კადრი კი ნამდვილად უნიკალურია. ნიუ იორკის ქუჩაში შეუმჩნევლად მოსეირნე გარბო გადამღებმა ჯგუფის წევრებმა შემთხვევით შენიშნეს. ისინი ცისფერებისთვის პორნოფილმის ერთ-ერთ კადრს იღებდნენ ქუჩაში.

თვითონ რეჟისორს ბროუნლოუს კი გარბო არასდროს გადაუღია. ძლიერი კინოისტორიკოსის რეპუტაციის მიუხედავად მან თავის დროზე ვერ შეძლო გარბოს პირადი სივრცე გაერღვია და ის ინტერვიუზე დაეთანხმებინა. გარბოს ნახვა მან ერთადერთხელ შეძლო. იმ დღეს თავის ასისტენტთან ერთად ბროუნლოუ მუნჯი კინოს ეპოქის ლილიან გიშის სანახავად მიდიოდა და სწორედ მაშინ ნახა გარბო. "ის სუპერმარკეტიდან შინ ბრუნდებოდა. გავშეშდი. ვიდექი და ვუყურებდი. მგონი, მარილის სვეტად გადავიქეცი", - იხსენებს რეჟისორი.

გრეტა გარბო

მისი რეაქცია ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1941 წელს ფილმის "ორსახიანი ქალის" ჩავარდნის შემდეგ გრეტა გარბო ფაქტობრივად გაუჩინარდა. კინოისტორიკოსებს კი დღემდე აღაფრთოვანებს როგორც მისი გარეგნული მშვენება, ისე ინტელექტი და შინაგანი სიღრმე.

ფილმში გამოყენებულია ძველი და ახალი ინტერვიუები იმ ადამიანებთან, რომლებიც გარბოს ახლოს იცნობდნენ, მათ შორის რეჟისორ ქლარენს ბრაუნთან. 1960-იან წლებში ჩაწერილ ინტერვიუში ბრაუნი იხსენებს, თუ როგორ შეუყვარდათ გარბოსა და ჯონ გილბერტს ერთმანეთი ფილმის "ხორცი და ეშმაკის" გადაღებებზე.

დასკვნის სახით რეჟისორი აცხადებს: "ცნობილი ფრაზა: "მე მარტო დარჩენა მსურს" ყოველგვარი გაპრანჭვის გარეშე გულისხმობს მარტოობის სურვილს. მას მართლაც დიდი პრობლემა ჰქონდა ბევრ ხალხთან. მარტივად რომ ვთქვათ, მას სურდა კერძო, შეუმჩნეველი ადამიანი ყოფილიყო და ვერ ხვდებოდა, რატომ კვეთდნენ სხვები მისი პირადული სივრცის საზღვრებს დაუკითხავად".

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გაიზიარებდი სწრაფი აზროვნებით?
არ გაწუხებდა გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობლებთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საჭართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოგვიგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბლანკი უფასოა

ურთიერთობების შესახებ

გვინეტ პელტროუმ პრესას აზრი ბრედ პიტისა და ჯენიფერ ანისტონის ურთიერთობის შესახებ გაუზიარა. მისი თქმით, წყვილს ურთიერთობის მოგვარება უფრო გაუიოლდებოდა, პრესა ასე აქტიურად რომ არ ჩაერთო წვრილმანებში. "ყველაფერი გაცილებით ადვილად მოხდებოდა, ჟურნალისტებთან ამდენი რომ არ ელაპარაკათ", - დასძინა მან ჟურნალ "თაიმთან" ინტერვიუში.

პელტროუმ კარგად იცის, რასაც გულისხმობს. მან ხომ მედიის გადამეტებული ცნობისმოყვარეობა საკუთარ თავზე გამოსცადა როცა ბრედ პიტის შეყვარებული იყო. პიტმა მასთან ურთიერთობა 1997 წელს ოფიციალურად გაწყვიტა. "ეს გაკვეთილი 24 წლის ასაკში ვისწავლე", - განაცხადა მან.

ბრედ პიტის შემდეგ მსახიობმა ნამდვილი ბედნიერება ჯგუფ "ქოლდფლეის" მომღერალან კრის მარტინთან იპოვა. მათ ურთიერთობა ოფიციალურადაც გაამყარეს და ახლა 1 წლის ქალიშვილი ეფლი ჰყავთ. ბრედ პიტთან მიღებული გამოცდილების შემდეგ გვინეტ პელტროუ თავის ურთიერთობებზე აღარავისთან ლაპარაკობს. "ჩვენი ქორწინების დეტალები ჩვენს შორის რჩება. ჩვენი საქმეა, როდემდე ვიქნებით ერთად".

გვინეტ პელტროუ

ბრედ პიტს კი ასეთი სტაბილურობა ჯერაც ვერ უპოვნია. წინა კვირას კალიფორნიელმა მოსამართლემ ხელი მოაწერა განქორწინების დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც ანისტონისა და პიტის 4-წლიანი ურთიერთობა ოფიციალურად დასრულდა. ანისტონმა ჟურნალ Vanity Fair-თან ინტერვიუში აღნიშნა: "ყველაზე სევდიანი მთელ ამ ამბავში ჩემთვის ისაა, რომ ჩვენი ურთიერთობა ჰოლივუდურ კლიშემდე დაიყვანეს. თუმცა, შეიძლება ვცდებოდე და უფრო მარტივად ჩვენი ურთიერთობა ადამიანური კლიშე იყოს".

ასეა თუ ისე, ყველაფერი მართლაც ჰოლივუდური შაბლონების მიხედვით განვითარდა. განქორწინების შემდეგ ყვითელმა პრესამ მკითხაობა პიტისა და ანისტონის სავარაუდო რომანებზე გააგრძელა. ეს თემა ბულვარული ჟურნალ-გაზეთებისთვის დღემდე არ გაგრილებულა.

გვინეტ პელტროუ კი ამასობაში თანდათან ჩრდილს ეჩვევა და სცენიდან ჩუმი გასვლისთვის ემზადება. "ყველაფერს მივაღწიე, რაც მსურდა. იმ ადამიანების კატეგორიას ნამდვილად არ მივეკუთვნები, ქრონიკულად მაღლასვლაზე რომ ფიქრობენ".